

# MAGISTER LEGUM

№2 2021

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტი

**UDC(უაპ)- 34(082)**

**M-20**

**მთავარი რედაქტორი**

ასისტენტ-პროფესორი გიორგი მესხი

**EDITOR IN CHIEF**

Assistant-Professor Giorgi Meskhi

**MAGISTER LEGUM**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის სტუდენტური ჟურნალი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა

**MAGISTER LEGUM**

Student Journal of Sulkhan-Saba Orbeliani University

Faculty of Law

Sulkhan-Saba Orbeliani University Press

ISSN 2667-9566

## შინაარსი

**პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ბავშვის  
საუკეთესო ინტერესების ჭრილში .....1**

ანა არგანაშვილი

**საერთაშორისო საკოლიციო თანამშრომლობა ბავშვთა  
პონროგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში .....17**

ანა გამსახურდია

**გამოხატვის თავისუფლების მიმართება ღირსებისა და პატივის  
უფლებასთან ..... 34**

ანა ხარშილაძე

**ერთ-ერთი სოლიდარული თავდების თავდებობისგან  
გათავისუფლების სამართლებრივი შედეგი სხვა სოლიდარული  
თავდებისათვის..... 56**

სანდრო-გიორგი სარუხანიშვილი

**საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა და სასამართლოს  
დისკრეცია მისი ცნობა-აღსრულებისას..... 74**

ელენე გოგაძე



**პირადი და ოჯახური ცხოვრების პათივისციების  
უფლება ბავშვის საუკეთესო ინტერესების ჭრილში**

**I. შესავალი**

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით აღიარებულია ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. აღნიშნულ უფლებას განამტკიცებს მრავალი საერთაშორისოსამართლებრივი აქტი, რომელთაგან აღსანიშნია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლებაა. იგი უამრავი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, რომლებიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითაა დაცული.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, „პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომლის პრაქტიკა ამ სფეროში ძალზე მდიდარია, არაერთ გადანყვეტილებაში მიუთითებს ამ უფლების სრული განმარტების შეუძლებლობაზე.

მოცემულ სტატიაში განხილული იქნება საქართველოს კონსტიტუციის ის ნორმები, რომლებიც იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და ამავე საკითხებთან დაკავშირებული ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. მიმოვიხილავთ შიდა საკანონმდებლო სივრცეში არსებულ ხარვეზებსა და პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიან ამ უფლების რეალიზაციას, ან წარმოადგენენ უფლებაში არამართლობიერ ჩარევას.

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრი.

აღსანიშნავია, რომ ოჯახური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ურთიერთობები, ბავშვთა უფლებები ოჯახში, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალკე ნორმის სახით არ ითვალისწინებს, თუმცა ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ ბავშვის უფლებები დაცული უნდა იყოს ოჯახურ ცხოვრებასთან მიმართებითაც და ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მის საუკეთესო ინტერესებს. მოცემული სტატიის ფარგლებში მიმოვიხილავთ იმას, თუ რამდენად იცავს სახელმწიფო ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს და როგორ ვლინდება ეს პირადი ცხოვრების თავისუფლების თვალსაზრისით. დღევანდელობაში პრობლემას სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცულობის უზეუნველყოფა წარმოადგენს.

## **II. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების მიმოხილვა**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს, რომელიც იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ამავე დროს განსაზღვრავს უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ეფექტურ მექანიზმს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით. ევროპულ კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს ქ. რომში ევროპის საბჭოს წევრი 15 სახელმწიფოს მიერ და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. აღნიშნული კონვენცია უპრეცედენტოა რამდენიმე ფაქტორის გამო:

1. ევროპულმა კონვენციამ ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა ადამიანის უფლებებზე ზოგადი იდეალების ტრანსფორმირება კონკრეტულ სამართლებრივ სისტემაში;

2. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმი, ევროპული სასამართლო, რომელიც მოწოდებულია განიხილოს სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განცხადებები

კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

3. სახელმწიფოები კისრულობენ სამართლებრივ ვალდებულებას, აღასრულონ ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები, რომელთა მხარეებიც ისინი არიან.<sup>1</sup>

აღნიშნული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **„ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას“**. მეორე პუნქტი კი ადგენს, რომ **„დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“**.<sup>2</sup> მოცემული მუხლი ნათლად ადგენს განსაზღვრულ უფლებებს, რომელიც გარანტირებული უნდა იყოს ინდივიდისათვის სახელმწიფოს მიერ. ეს არის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, საცხოვრებელი და მიმონერა.

ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი უფლება არის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსობრივი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს.<sup>3</sup> პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლე-

---

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2004.

<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-8 მუხლი.

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 180.

ბას.<sup>4</sup> პირადი ცხოვრების უფლება დიდი ხანია გადაიქცა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრალურ თემად. პირადი ცხოვრების საიდუმლოება საერთაშორისო დონეზე პირველად ადამიანის უფლებათა საყოველთაო და ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკულმა დეკლარაციებმა განამტკიცეს. მოგვიანებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა საერთაშორისო პაქტით გაფართოვდა:<sup>5</sup> „არავინ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა“.<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამომწურავად არ განმარტა პირადი ცხოვრების კონცეფცია, სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა იმ საკითხების ნაწილს, რომლებიც განეკუთვნება პირად ცხოვრებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული უფლება მოიცავს მრავალ უფლებრივ კომპონენტს, რომელთაგან აღსანიშნავია **პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება**. პირადი ჩანაწერი არის ინდივიდის მიერ კალმით ან ბექედური ფორმით შესრულებული ან ტექნიკური საშუალებით ჩანერილი ინფორმაცია, რომელიც განეკუთვნება მისი ან სხვა ინდივიდის პირადი ან პროფესიული ცხოვრების სფეროს და ინდივიდის მიერ არ არის მოაზრებული საჯარო ხელისუფლებისთვის ან ადამიანთა შედარებით ფართო წრისათვის გასაზიარებლად. თავისი შინაარსის გათვალისწინებით აღნიშნული უფლება არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. ასევე, პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთი კომპონენტია **საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებები**. საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა არის ნებისმიერი უძრავი ან საცხოვრებლად

<sup>4</sup> ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი, 2017, 128–129.

<sup>5</sup> ზუკაკიშვილი ქ., პირადი ცხოვრების უფლება – გამოწვევები ინტერნეტ ეპოქაში (ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის მიმოხილვა), სამართლის ყურნალი, 2012, 125, [www.library.court.ge](http://www.library.court.ge)

<sup>6</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-17 მუხლი

განკუთვნილი მოძრავი ნივთი, ქონება, რომელიც საკუთრებაში ან მუდმივ თუ დროებით მფლობელობაში ან სარგებლობაში აქვს გადაცემული ინდივიდს. ჩარევად საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ძირითად უფლებაში უნდა განვიხილოთ ამ მფლობელობაში შესვლა, შეღწევა, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მფლობელობაზე აკუსტიკური ან ვიზუალური დაკვირვება, მფლობელობის განზრახ დაზიანება და სხვა. კიდევ ერთი უფლება, რომელიც დაკავშირებულია პირადი ცხოვრების უფლებასთან არის **პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის უფლება**. პირადი საქმიანობის ადგილი არის შენობის ფართი, სადაც ინდივიდი ახორციელებს შრომით საქმიანობას დამქირავებელთან შრომითი ურთიერთობის ან თვითდასაქმების საფუძველზე. პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვაზე არსებითად ვრცელდება იგივე წესები, რაც გამოიყენება საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის მიმართ, იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომ საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისას, საჯარო ხელისუფლებას ინტერესთა გაცილებით ფრთხილი აწონ-დაწონვა მართებს.<sup>7</sup> ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრება მოიცავს სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების უფლებას. როგორ ურთიერთობებს წარმოადგენს პირადი ცხოვრება? ურთიერთობები, რომლებიც სცდება ოჯახური ცხოვრების ფარგლებს. ურთიერთობები, რომლებიც კონვენციის მე-8 მუხლის ქრილში სცდება ოჯახური ცხოვრების ფარგლებს, შესაძლოა ითვალისწინებდეს პირადი ცხოვრების დებულებით დაცვას.<sup>8</sup>

ოჯახური ცხოვრება ერთ-ერთია იმ ინტერესებს შორის, რომლებიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. მისი მნიშვნელოვანი ელემენტია ოჯახის წევრების ერთად ცხოვრებისა

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, პ. ტურავას რედაქტორებით, თბილისი, 2013, 180-190.

<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, 2004.

და ერთმანეთთან ურთიერთობის უფლება. ოჯახური ცხოვრების განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ გასცდა ფორმალური ურთიერთობის ფარგლებს და ასევე მოიცვა ფაქტობრივი ურთიერთობა ნყვილს შორის.<sup>9</sup> ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განაცხადა, რომ „*მომჩივნები, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ 15 წლის განმავლობაში, შეადგენდნენ „ოჯახს“, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, მათ აქვთ უფლება იყვნენ დაცული კონვენციით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათი ურთიერთობა ჩამოყალიბებულია ქორწინების გარეშე*“.<sup>10</sup>

აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, ოჯახური ცხოვრება მოიცავს როგორც ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას, ისე ფაქტობრივ ურთიერთობას მეუღლეებს შორის. მეუღლეებს შორის ფაქტობრივი ურთიერთობისას უნდა დადგინდეს ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ასეთი ურთიერთობა ჩაითვლება ოჯახურ ცხოვრებად. საქართველოს კანონმდებლობა, ქორწინების ცნებისგან განსხვავებით, არ აზუსტებს ოჯახის ცნებას. „**ოჯახი**“ თურქული სიტყვაა და კერას, სახლს, სახლეულს ნიშნავს. ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და სასამართლოს მიხედვით, ოჯახი მოიცავს ქმარს, ცოლს და შვილს. ქორწინებისგარეშე დაბადებული და ნაშვილები შვილების ჩათვლით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მშობლებისა და მათი შვილების მიერ ოჯახური ცხოვრებით ერთობლივი სარგებლობა ოჯახური ცხოვრების ძირითადი ელემენტია. საქმეში – *ბუგანემი საფრანგეთის წინააღმდეგ ( Boughanemi v. France )* - ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ოჯახური ცხოვრების კონცეფცია, რომელზეც დაფუძნებულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, გულისხმობს მშობელსა და შვილს შორის კავშირის არსებობას,

<sup>9</sup> ჯონსტონი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and Others v. Ireland), 1986 წლის 18 დეკემბერი.

<sup>10</sup> იხ. შენიშვნა 10, გვ. 6

მიუხედავად იმისა, ქორწინება არის თუ არა რეგისტრირებული და მშობლები თანაცხოვრობენ თუ არა“.<sup>11</sup>

გარკვეულმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს ოჯახური ცხოვრების შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, ისეთი მოვლენები, როგორიცაა, მაგალითად ნყვილის განქორწინება მართალია იწვევს ოჯახური ცხოვრების შეწყვეტას ცოლსა და ქმარს შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად შეწყდება ოჯახური ცხოვრება მშობლებსა და შვილებს შორის. საქმეზე – *ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Berrehab v. Netherlands)*, 21 ივნისი, 1988, ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა შეხედულება, რომ მიუხედავად მშობლების განქორწინებისა, გრძელდება ოჯახური ცხოვრება მამასა და შვილს შორის, ვინაიდან მამა ინარჩუნებდა ურთიერთობას შვილთან. არც შვილის გაშვილება, ან მისი გადაცემა სახელმწიფო მზრუნველობისათვის ავტომატურად არ გამოიწვევს ოჯახური ცხოვრების შეწყვეტას. ოჯახური ცხოვრება შეიძლება შენარჩუნდეს ამ ფაქტების არსებობის მიუხედავად.<sup>12</sup>

### III. ბავშვის უფლებები

#### 1. ბავშვის უფლებების კონვენცია და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ბავშვის უფლებებთან მიმართებით

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ცალკე მუხლს ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ ბავშვის უფლებები უნდა იყოს დაცული ოჯახურ ცხოვრებასთან მიმართებითაც და ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მის საუკეთესო ინტერესებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც ეხება ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოქცევას, ბავშვის მეურვეობას, ან მასთან

<sup>11</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 443.

<sup>12</sup> ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, 2017, 122.

კონტაქტს, უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის საფუძველზე. როგორც ზოგადად, ისე ბავშვის უფლებებთან მიმართებით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შეასრულოს არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება.<sup>13</sup> კანონმდებლობით დაცულია ბავშვის უფლებები თავად მშობელთა უკანონო ქმედებებისგან. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან იკვეთება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. ამ მუხლში აგრეთვე მოიაზრება სახელმწიფოს ვალდებულება, ჩაერიოს ამ მუხლით დაცულ სფეროში. ჩარევა კი შეიძლება არასრულწლოვანი შვილის ინტერესების სასარგებლოდ განხორციელდეს. ამ მხრივ სამი მიდგომაა აღსანიშნავი. პირველი (შედარებით ადრინდელი), როცა სახელმწიფო მაქსიმალურად იკავებდა თავს არასრულწლოვანსა და მშობლის ურთიერთობაში ჩარევისაგან. მეორე მიდგომის თანახმად, სახელმწიფო ასეთ ოჯახურ ურთიერთობებს ნდობის პრინციპზე აგებდა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ერეოდა. და მესამე, თანამედროვე მიდგომა ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო აქტიურად ერევა მშობლისა და არასრულწლოვანი შვილის ურთიერთობაში ბავშვის ინტერესების დასაცავად. იგი მშობლის უფლებებზე მეტად მშობლის მოვალეობებზე აკეთებს აქცენტს. უნდა ითქვას, რომ ბოლო მიდგომას იზიარებს ჩვენი კანონმდებლობა. საკმარისია თუნდაც მშობლის უფლების ჩამორთმევის დასახელება.<sup>14</sup> სახელმწიფომ მშობლის უფლების ჩამორთმევას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიმართოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, მშობლები მავნე ზეგავლენას ახდენენ შვილზე, ან სათანადოდ ვერ ზრუნავენ მასზე, ხოლო მეორე მხრივ, ობიექტური სიტუაციიდან გამომდინარე, მშობლებისა და შვილის ოჯახურ ცხოვრებას არ აქვს პერსპექტივა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ჩამოართმევს მშობლებს არასრულწლოვანს მისი შემდგომი

<sup>13</sup> იქვე, გვ. 126-127.

<sup>14</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მე-2, მე-20 მუხლი, 450, 2013 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

გაშვილების მიზნით. ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოებს, როდესაც საქმე ეხება მშობლის უფლების ჩამორთმევას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან უკიდურეს და შეუქცევად ნაბიჯს.<sup>15</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის *მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს* იქნა მიღებული, ხოლო ძალაში შევიდა *1990 წლის 2 სექტემბრიდან*. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად:

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული ასეთი ჩარევისაგან და ხელყოფისაგან.<sup>16</sup>

## 1.2. მშობლების მონაწილეობა ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღების პროცესში მშობლების მონაწილეობას. ასეთი გადანყვეტილება მრავალ საკითხს შეიძლება უკავშირდებოდეს, მათ შორის: ბავშვის მოთავსებას სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოში, მშობლის უფლების ჩამორთმევას, ბავშვის გაშვილებას და სხვ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა პროცედურული წესი, რომლის მიხედვით, მშობლები უნდა იყვნენ ჩართული იმ

<sup>15</sup> ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, 2017, 127.

<sup>16</sup> კილკელი უ, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (თარგმანი – ლ. ჭელიძე, ბ. ბოხაშვილი, თ. მამუკელაშვილი), თბილისი, 2005, 17.

ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პროცესში, რომლის ფარგლებშიც წყდება ბავშვთან დაკავშირებული საკითხები.

მშობლების მონაწილეობა ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია იმისათვის, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, შესაბამის ორგანოს წარუდგინონ თავიანთი პოზიცია და დაიცვან თავიანთი ინტერესები. საქმეზე *B გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (B v. the United Kingdom)*, 1987 წლის 8 ივლისი, 65-ე პარაგრაფი, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „საქმის კონკრეტული გარემოებებისა და მისაღები გადაწყვეტილების მნიშვნელობის გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს, იყვნენ თუ არა მშობლები საკმარისად ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც აუტყულებელი იყო მათი ინტერესების სათანადოდ დასაცავად. თუ არა, მაშინ ვერ იქნა უზრუნველყოფილი ოჯახური ცხოვრების პატივისცემა...“ საინტერესოა საქმე *ვენემა ნიდერლანდების წინააღმდეგ (Venema v. the Netherlands)*, № 35731/97, ECHR 2002-X, რომელშიც მოსარჩელები დედა, მამა და შვილი ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რადგან მშობლებს არ მიუღიათ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფო მზრუნველობის ორგანოში შვილის მოთავსების შესახებ.<sup>17</sup>

კანონი ანებს რა მშობლების ძირითად უფლება-მოვალეობებს შვილების მიმართ, ამავე დროს, ადგენს მათი განხორციელების საზღვრებს. არ შეიძლება მშობლის უფლება-მოვალეობათა გამოყენება შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ. შვილების ინტერესებში იგულისხმება ზნეობისა და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მათ აღზრდასთან დაკავშირებული ყველა ინტერესი. მშობლების მხრიდან შვილების ინტერესების საწინააღმდეგო ქცევა გამოიწვევს შესაბამის პასუხიმგებლობას.<sup>18</sup>

<sup>17</sup> ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, 2017, 128–129.

<sup>18</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეხუთე, თბილისი, 2000, 172–173.

### 1.3. ბავშვთან ურთიერთობის უფლება

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ ადგენს, განქორწინების შემთხვევაში, შვილმა დაედასთან უნდა იცხოვროს თუ მამასთან. მშობლების განქორწინებისას თუ ისინი ვერ თანხმდებიან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ეს უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის საფუძველზე. ამასთანავე ევროპულმა სასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართლით დაადგინა, რომ სახელმწიფოს გადანყვეტილება – დაედასთან იცხოვრებს შვილი თუ მამასთან, არ უნდა იყოს მიღებული დისკრიმინაციულ საფუძველზე. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე *ჰოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ (Hoffmann v. Austria)*, 1993 წლის 23 ივნისი, ასეთი გადანყვეტილების მიღებისას უნდა იყოს გათვალისწინებული ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება, რომ ბავშვს უნდა ეცხოვრა მამასთან, მიღებულ იქნა მხოლოდ დედის რელიგიური კუთვნილების (იგი იყო იეჰოვას მოწმე) გამო.

როგორც აღინიშნა, ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ მიუთითა, რომ ბავშვთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს როგორც მისი საუკეთესო ინტერესები, ისე ბავშვის მოსაზრებები.<sup>19</sup> ასევე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ექსპერტებისა და სპეციალისტების დასკვნები, რომლებიც სასამართლოს დაეხმარება საქმესთან დაკავშირებით სამართლიანი, კანონიერი და დასაბუთებული გადანყვეტილების მიღებაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადანყვეტილებაში მიუთითებს, რომ „*იმისათვის, რომ*

---

<sup>19</sup> ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, 2017, 139.

მოხდეს ბავშვის სრულყოფილ, ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბება და იმისათვის, რომ მოხდეს მისი ინტერესების დაცვა, აუცილებლობას წარმოადგენს ბავშვის მშობლებთან ურთიერთობა“ სასამართლო იმავე საქმეზე აღნიშნავს, რომ „პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმის მასალების საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უკრაინაში არასრულწლოვნის დაბრუნება მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შეუქმნიდა საფრთხეს. სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ ფსიქოლოგს წარმოდგენილი ჰქონდა ხასიათის დასკვნა სადაც აღნიშნულია, რომ ლ.ჭ–ს მიღებული აქვს მძიმე ფსიქოლოგიური ხასიათის ტრავმა მალალი ხარისხის ალბათობით და მისი უკრაინაში დაბრუნება გამოიწვევს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ საფრთხეს ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში“.<sup>20</sup> საქმე ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*N.Ts v. Georgia*), № 71776/12, 2 თებერვალი 2016 წ., ეხებოდა ბავშვების დაბრუნებას მამასთან მათი ნების საწინააღმდეგოდ. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც ბავშვის მოსაზრებების, ისე მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე.

ამ საქმის გარემოებები შემდეგი იყო: მომჩივნები იყვნენ საქართველოს ოთხი მოქალაქე, რომლებიც ცხოვრობდნენ თბილისში, – 1976 წელს დაბადებული ნ. წ და მისი სამი არასრულწლოვანი დისშვილი. 2006 წელს ბავშვების მამა გ.ბ გასამართლდა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების გამო და მიესაჯა ხუთწლიანი პირობითი პატიმრობა. 2008 წელს გ.ბ–ს დაუსვეს ფსიქიატრიული და ქცევითი აშლილობის დიაგნოზი, იმავე წელს გ.ბ-მ დაიწყო მეტადონით ჩანაცვლების მკურნალობის კურსის გავლა. მანამდე მამა ორჯერ დაჯარიმდა ნარკოტიკების უკანონოდ მიღებისათვის. 2009 წლის ნოემბერში, ბავშვების დედის გარდაცვალების შემდეგ, ბავშვები ცხოვრობდნენ დეიდებთან და დედის

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება № ას–1809–1783–2011

მხრიდან ბებია-ბაბუასთან. 2009 წლის დეკემბრის ბოლოს გ.ბ-მ მოითხოვა შვილების დაბრუნება, მაგრამ დედის მხრიდან ოჯახმა უარი განაცხადა მის მოთხოვნაზე.

2010 წლის 5 იანვარს გ.ბ-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავისი შვილების დარუნების მოთხოვნით. 2010 წლის 12 იანვარს პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმისწარმოებაში სოციალური მიმსახურების სააგენტოს ჩართვის შესახებ, რომელმაც შეისწავლა როგორც მამის, ისე დედის მხრიდან ოჯახი და ჩაატარა გასაუბრება. სოციალურმა მუშაკმა დაასკვნა, რომ ორივე ოჯახში პირობები დამაკმაყოფილებელი იყო. პარალელურად, სოციალური მიმსახურების რაიონულმა განყოფილებამ შეამოწმა ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მან დაადგინა, რომ ორ ბავშვს მამის მიმართ ჰქონდა გაორებული დამოკიდებულება – ერთი მხრივ გამოხატავდნენ სიბოძას და სიყვარულს, მეორე მხრივ, ეშინოდათ. მოგვიანებით, 2010 წლის აპრილში მომზადებული ფსიქოლოგიური დასკვნის მიხედვით, სამივე ბავშვს ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება მამის მიმართ და გარკვეული შიშები. რეკომენდაციის შესაბამისად, არ უნდა მომხდარიყო ცვლილების შეტანა მათ საცხოვრებელ გარემოში, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული ბავშვებისათვის დამატებითი სტრესის შექმნა. 2010 წლის 18 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა განკარგულება სამი ბიჭის მამისთვის დაბრუნების შესახებ. გ.ბ-ს უკანასკნელი სამედიცინო ჩიანაწერების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მას შეეძლო მშობლის პასუხისმგებლობის აღება. სამართალწარმოებაში ჩართული არ ყოფილან სოციალური მიმსახურების სააგენტოს წარმომადგენლები.

2011 წლის 24 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ბავშვები უნდა დარჩენილიყვნენ მათი დედის ოჯახში. სასამართლო ჩიანაწერების მიხედვით, სოციალური მიმსახურების სააგენტო საქმის სააპელაციო წარმოებაში ჩართული იყო „დაინტერესებული მხარის“ სტატუსით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის

საქმის დაბრუნების შედეგად, 2012 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა თავისი 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ ბავშვებმა უნდა იცხოვრონ მამასთან. გადაწყვეტილება ბავშვების მამასთან საცხოვრებლად გადაყვანის შესახებ დღემდე ვერ აღსრულდა, რადგან ბავშვებმა უარი განაცხადეს მამასთან წასვლაზე.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა განახორციელა თუ არა ეროვნულმა სასამართლომ ბავშვების მოსმენა. **მე-8 მუხლის თანახმად, ბავშვები, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარი, საკმარისად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნდა მისცემოდათ შესაძლებლობა, მოესმინათ მათთვის და ამგვარად გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები.** ამ საქმეში სამი ბავშვიდან არცერთის უშუალო მოსმენა არ განხორციელებულა.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მეორე მნიშვნელოვან ასპექტზე, კერძოდ, გაითვალისწინეს თუ არა ეროვნულმა სასამართლოებმა ბავშვების საუკეთესო ინტერესები. ბავშვების საუკეთესო ინტერესების შეფასებისას ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის გათვალისწინება: ბავშვებს არ უნდოდათ მამასთან დაბრუნება. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ფსიქოლოგების დასკვნებს, რომლებიც ეხება ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის პოტენციური საფრთხის შექმნას, მამასთან მათი ძალდატანებითი დაბრუნების შემთხვევაში. ეროვნული ხელისუფლების მიერ ასეთი რადიკალური ღონისძიებების გატარება შესაბამისი გარდამავალი და მოსამზადებელი ღონისძიებების გარეშე, რომლებიც მიზნად დაისახავს შვილებსა და მათ გაუცხოებულ მამას შორის ურთიერთობების აღდგენაში დახმარების აღმოჩენას, ეწინააღმდეგება მათ საუკეთესო ინტერესებს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაჯეროვანმა წარმომადგენლობამ და ამის შედეგად შვილების შეხედულებების სათანადოდ წარდგენისა და მოსმენის შეუძლებლობამ ძირი გამოუთხარა ამ საქმეში გადაწყვეტილების მიღების პროცესის პროცე-

დურულ სამართლიანობას. ეს კიდევ უფრო გამწვავდა ბავშვების საუკეთესო ინტერესების არაადეკვატური და ცალმხრივი შეფასებით, რომელშიც მათი ემოციური მდგომარეობა, უბრალოდ, იგნორირებულ იქნა, აქედან გამომდინარე, დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი.<sup>21</sup>

#### IV. დასკვნა

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება არის ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი უფლება, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს. აღნიშნული უფლების რეალიზება ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად ვერ ხდება ბავშვებთან მიმართებით, როდესაც მათ არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში მიიღონ მონაწილეობა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები. ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას, სასამართლოების, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ იქნეს მათი საუკეთესო ინტერესები. იმისათვის, რომ დაცულ იქნეს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი უფლება არასრულწლოვნებთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოფილი იყოს კანონმდებლობით, მათ მოსაზრებებს მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა, გათვალისწინებულ იქნეს ყველა სხვა უფლება, ღირსების, თავისუფლებისა და თანაბარი მოპყრობის. ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი მიდგომები ყველა უწყების მიერ, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ

---

<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*N.Ts and others v. Georgia*)

ინტერესებს. საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომლის მიზანია ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციის ხელშეწყობით, უზრუნველყოს ბავშვის კეთილდღეობა. აღნიშნული კანონის მიღება წინ გადადგმული ნაბიჯია ბავშვის უფლებათა სფეროში და ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, რომლებიც არსებობს დღევანდელ კანონმდებლობაში.

## **საერთაშორისო საკოლიციო თანამშრომლობა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში**

### **I. შესავალი**

ბავშვის უფლებების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არაერთგვაროვანი იყო. საზოგადოებრივი თვითშეგნების ამალღების შედეგად, დღეის მდგომარეობით, ბავშვი ძირითადი უფლებების აქტიური სუბიექტია. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულად მონყვლადი ბუნების გამო, ბავშვები ხშირად ხდებიან სხვადასხვაგვარი ძალადობის მსხვერპლნი. ამიტომ, ბავშვის უფლებების დაცვა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ კავშირების, ასევე ცალკეული ქვეყნების პრიორიტეტად იქცა.

ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის იოლად ხელმისაწვდომობამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი ონლაინ სივრცეში ბავშვთა პორნოგრაფიის ზრდას. კიბერსივრცის გამოყენების შედეგად ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულების გავრცელების ფარგლები ცდება ცალკეული ქვეყნის საზღვრებს. ხშირად, მასში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნის არაერთი მოქალაქე და მათ შორის არსებული დანაშაულებრივი ქსელის გამოკვლევა და გამოაშკარავება, გავრცელების მასშტაბებისა და ორგანიზებული ხასიათის გამო, განსაკუთრებულ გამოწვევაა.

### **II. ბავშვთა პორნოგრაფიის სამართლებრივი არსი**

კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი არსის განსაზღვრას. ბავშვთა პორნოგრაფია პროსტიტუციასთან, სექსუალური მიზნით ტრეფიკინგთან და სექს-ტურიზმთან ერთად კო-

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი.

მერციული სექსუალური ექსპლუატაციის ერთ-ერთი სახეა. კომერციული მიზნით ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია არსებითად არღვევს ბავშვის უფლებებს, რამეთუ იგი ხდება სექსისა და კომერციის საგანი. აღნიშნული ქმედება მოიცავს სექსუალურ ძალადობას, ან ექსპლუატაციას მოზრდილი ადამიანის მიერ და ბავშვისთვის ან მესამე პირისთვის/პირებისთვის ფულის ან ნატურის სახით გასამრჯელოს გადახდას. ეს არის ბავშვთა მიმართ იძულებისა და ძალადობის გამოვლინება, რომელიც უთანაბრდება იძულებით შრომასა და მონობის თანამედროვე ფორმას.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ პორნოგრაფიის ცნების უნივერსალური სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, მაგრამ, კანონმდებლობის განჭვრეტადობის მიზნით, ზოგიერთი ქვეყანა ზოგადად განმარტავს ამ ტერმინს და დეტალურად აღწერს პორნოგრაფიის აკრძალულ კატეგორიებს. პორნოგრაფიისადმი მიდგომა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.<sup>2</sup> ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვა კატეგორიის პორნოგრაფიის დამზადებაზე, ფლობასა და გავრცელებაზე მეტად ლიბერალურია, ზოგიერთი კი გაცილებით მკაცრ აკრძალვებს აწესებს. განსხვავებული მიდგომაა ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვასთან დაკავშირებით. კერძოდ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ფართო კონსენსუსი არსებობს და იგი თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში აკრძალული და მკაცრად დარეგულირებულია.

ბავშვთა პორნოგრაფიაზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი პორნოგრაფია, რომელსაც მხოლოდ მონაწილე პირთა ასაკი გამოარჩევს, არამედ ეს არის მასალა, რომელიც აღბეჭდავს დანაშაულს – სექსუალურ ძალადობას ბავშვებზე. სწორედ ამიტომ, ბავშვთა პორნოგრაფიასთან მიმართებით, სხვადასხვა იურისდიქციაში ვხვდებით ისეთ ტერმინებს, რომლებიც ხაზს უსვამს, რომ მასალა აღბეჭდავს სექსუ-

<sup>1</sup> Declaration and Agenda for Action 1st World Congress against Commercial Sexual Exploitation of Children, Stockholm, August 1996, sec. 5.

<sup>2</sup> მაგ: Strafgesetzbuch, §184-184e. Penal Code of France, §227-4. Criminal Code of Canada, sec. C-46. UK Obscene Publications Act 1959, sec. 1.

ალურ ძალადობას ბავშვებზე ან მათ სექსუალურ ექსპლუატაციას.<sup>3</sup>

პორნოგრაფიისგან განსხვავებით, ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტებასა და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებს მოიცავს როგორც საერთაშორისო აქტები, ასევე ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობაც. უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებები სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებულია, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ განმარტებას საერთოდ არ იძლევა, ზოგან კი იგი ძალიან ბუნდოვანია. ერთიანი მიდგომის არ არსებობა კი მნიშვნელოვნად ამცირებს დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით ბრძოლის ეფექტიანობას.

ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტებას ვხვდებით ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებით ოქმში<sup>4</sup> (შემდგომ – ოქმი), ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში<sup>5</sup>, სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასა<sup>6</sup> (შემდგომ – კონვენცია) და „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციაში<sup>7</sup>. აღნიშნული განმარტებებით ნაწარმოების ბავშვთა პორნოგრაფიად მიჩნევისათვის აუცილებელია, გამოსახული ბავშვი რეალურ

---

<sup>3</sup> Leary M.G., *The Language of Child Sexual Abuse and Exploitation*, in: *Refining Child Pornography Law*, Edited by Hessick C.B., University of Michigan Press, 2016, 33.

<sup>4</sup> ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, მუხ. 20 (c).

<sup>5</sup> DIRECTIVE 2011/92/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 13 December 2011, Art.2 (c).

<sup>6</sup> სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია, მუხ. 20.2.

<sup>7</sup> „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის კონვენცია, მუხ.9.2.

ან მოდელირებულ სექსუალურ ქმედებას ახორციელებდეს, ან გამოსახული იყოს მისი გენიტალიები სექსუალური მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენიტალიების გარდა სხეულის სხვა ნაწილებსაც შეუძლია სექსუალური აღზნების გამოწვევა. საკმაოდ ბუნებრივია, ბავშვის შიშველი მკერდის ან დუნდულების გამოსახულება ალაგზნებდეს დამნაშავეს. ამ განმარტებებიდან გამომდინარე კი ყოველგვარი სექსუალური ქმედების განხორციელების გარეშე ბავშვის გამოსახვა შიშველი მკერდით ან დუნდულებით არ მიიჩნევა ბავშვთა პორნოგრაფიად, არამედ დამატებით საჭიროა სექსუალური სურვილის გამომწვევი აშკარა მოქმედება. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში ხდება ბავშვის ვიქტიმიზაცია. შესაბამისად, გაუგებარია, გენიტალიებისგან განსხვავებით, რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს შიშველი მკერდის, ან დუნდულების ვიზუალიზაცია პორნოგრაფიულ ნაწარმოებად.

რაც შეეხება ცალკეული ქვეყნების მიდგომას, ბავშვთა პორნოგრაფიის განმარტება ფედერალურ დონეზე განსაზღვრული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლის თანახმადაც ბავშვთა პორნოგრაფია 18 წლამდე პირის სექსუალური ქმედების ვიზუალური გამოსახვაა. პორნოგრაფიად მიიჩნევა მასალა, რომელიც გენერირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიის მეშვეობით და გამოსახული პირის გარჩევა რეალური არასრულწლოვნისგან შეუძლებელია, ასევე სიმულაციური ფოტოები, რომლებზეც რეალური ბავშვია გამოსახული. რაც შეეხება სექსუალურ ქმედებას, არ არის აუცილებელი ბავშვი რაიმე სახით ახორციელებდეს სექსუალურ აქტივობას, არამედ საკმარისია მისი შიშველი გამოსახვა, თუკი ასეთ გამოსახულებას პირის სექსუალური აღზნება შეუძლია.<sup>8</sup> განსხვავებული მიდგომაა ინგლისსა და უელსში, სადაც ბავშვთა პორნოგრაფია, როგორც სამართლებრივი ტერმინი არ გვხვდება და დანაშაულებრივი ქმედების აღსანიშნად გამოიყენება ტერმინი – ბავშვის უხამსი გამოსახულება. ამასთან, არც უხამსობაა განმარტებული საკანონმდებლო დონეზე და მხოლოდ სახელმძღვანელო დოკუმენტებშია მითითებული, რომ ეს შეიძლება

<sup>8</sup> United States Code, title 18, sec. 2256.

იყოს სექსუალური შელწევის, ან სხვაგვარი სექსუალურ ქმედების აღმბეჭდავი გამოსახულება.<sup>9</sup>

ბავშვთა პორნოგრაფია, როგორც სამართლებრივი ტერმინი, გვხვდება კანადის სისხლის სამართლის კოდექსში. კერძოდ, ბავშვთა პორნოგრაფიაა **18** წელს მიუღწეველი, ან მსგავსი შესახედაობის მქონე პირის ნამდვილ, ან სიმულირებულ სექსუალურ ქმედებაში მონაწილეობის ვიზუალური გამოსახვა, მათ შორის ანალური ხვრელის ჩვენება.<sup>10</sup> პორნოგრაფიად მიიჩნევა წერილობითი მასალაც, რომლის მთავარი მახასიათებელი **18** წლამდე პირთან განხორციელებული სექსუალური ქმედების აღწერაა. თუმცა, თუკი მასალა შემქმნელის მიერ ინახება მხოლოდ პირადი გამოყენების მიზნით, იგი გამოხატვის თავისუფლებითაა დაცული.<sup>11</sup>

განსახილველ დანაშაულთან მიმართებით საინტერესოა გერმანიის პრაქტიკა, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნულია ბავშვთა და არასრულწლოვანთა პორნოგრაფია. ბავშვთა პორნოგრაფიად ითვლება სექსუალური ქმედება განხორციელებული **14** წლამდე პირის მიერ, ან მისი თანდასწრებით, ასევე მისი შიშველი/ნაწილობრივ შიშველი გამოსახვა სექსუალურ პოზაში, ან ამისი შიშველი გენიტალიის ან/და დუნდულების სექსუალურად აღმგზნება გამოსახვა.<sup>12</sup> ხოლო არასრულწლოვანთა პორნოგრაფია გულისხმობს **14-დან 18-წლამდე** პირის სექსუალურ ქმედებაში მონაწილეობის, ან მისი თანდასწრებით განხორციელებული სექსუალური ქმედების გამოსახვას, ასევე მის შიშველ ან ნაწილობრივ შიშველ გამოსახვას სექსუალურ პოზაში.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ როგორც ბავშვთა, ასევე არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის შემთხვევაში დასჯადია სიმულირებული ბავშვთა პორნოგრაფიაც.<sup>14</sup>

<sup>9</sup> UK Legislation: Protection of Children Act 1978, Criminal Justice Act 1988, Criminal Justice and Public Order Act 1994, Sexual Offences Act 2003.

<sup>10</sup> Criminal Code of Canada, Sec. 163.1.

<sup>11</sup> R v. Sharpe (2001) SCC 2. File No. 27376, 26 January 2001.

<sup>12</sup> Strafgesetzbuch, §184b.

<sup>13</sup> Strafgesetzbuch, §184c.

<sup>14</sup> <[https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM\\_A4A\\_EU\\_GERMANY.pdf](https://www.ecpat.org/wp-content/uploads/2016/04/EXSUM_A4A_EU_GERMANY.pdf)> [07.05.2020]

ბავშვთა პორნოგრაფია ცდება საქართველოს კონსტიტუციით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებსაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოები არის ნებისმიერი მეთოდით შექმნილი ვიზუალური ან აუდიოვიზუალური მასალა, აგრეთვე დადგენილი წარმოდგენა, რომელშიც სხვადასხვა საშუალებით წარმოდგენილია არასრულწლოვნის ან არასრულწლოვნის გამოსახულების მქონე პირის მონაწილეობა ნამდვილ, სიმულირებულ ან კომპიუტერული ტექნოლოგიის მეშვეობით გენერირებულ სექსუალურ სცენებში ან ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალიები მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით.<sup>15</sup> ამ განმარტებით, გერმანიისგან განსხვავებით, შიშველი გენიტალიების ნაცვლად შიშველი მკერდის ან შიშველი დუნდულების გამოსახვა არ იძლევა განსახილველი დანაშაულის შემადგენლობას. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი განმარტება სრულად შეესაბამება ოქმისა და კონვენციის დებულებებს.

### III. ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები

ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადება ან ნებისმიერი ფორმით გავრცელება, როგორც საერთაშორისო აქტებით, ასევე ქვეყნების უმრავლესობათა კანონმდებლობით კრიმინალიზებულია.<sup>16</sup> ეროვნულ კანონმდებლობებს შორის განსხვავებული მიდგომა განსაკუთრებით იჩენს თავს ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ქვეყანაში ფლობა ლეგალიზებულია, ზოგან კი დაშვებულია მარტივი ფლობა – შემდგომი გაყიდვის, გავრცელების ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის მიზნის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ოქმი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს დასჯადად გამოაცხადონ ბავშვთა პორნოგრაფიის შენახვა არა პირადი სარგებლობისთვის, არამედ,

<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 255.

<sup>16</sup> Child Pornography: Model Legislation & Global Review, International Centre for Missing & Exploited Children. Fifth Edition, 2008, 11-32.

მაგალითად, თუ პირს აქვს ამ მასალის შემდგომი გავრცელების, გაყიდვის, ან მისი ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის მიზანი.<sup>17</sup> კონვენცია კი განსხვავებულ სტანდარტს აწესებს და ასეთი მიზნის არსებობა ირელევანტურია, დასჯადობისთვის საკმარისია ფლობის ფაქტი.<sup>18</sup>

ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა პორნოგრაფიული მასალა, თუკი იგი ე.წ. მილერის ტესტის შესაბამისად არ აკმაყოფილებს უზამსობის სტანდარტს. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ 1982 წელს საქმეზე **New York v. Ferber** აღნიშნა, რომ ბავშვთა პორნოგრაფია, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა იგი უზამსობის სტანდარტს, არ არის დაცული კონსტიტუციის პირველი შესწორებით და მისი წარმოება და გასაღება ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასჯადი.<sup>19</sup> რაც შეეხება ფლობას, აღნიშნულზე უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა **Osborne v. Ohio** საქმის განხილვისას და განმარტა, რომ არც ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობაა დაცული კონსტიტუციის პირველი შესწორებით, რადგან სახელმწიფოს აქვს მომეტებული ინტერესი, აკრძალოს ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა. ამ დროს სახელმწიფოს მიზანი არ არის „დაარეგულიროს“ დამნაშავეს აზროვნება, არამედ სახელმწიფო ისწრაფვის მსხვერპლი ბავშვების დაცვისკენ იმ ადამიანების დასჯით, რომლებიც ქმნიან ბაზარს ბავშვთა პორნოგრაფიის დასამზადებლად.<sup>20</sup> უზენაესი სასამართლოს აღნიშნული მიდგომა ნაწილობრივ შეიცვალა საქმეზე **Ashcroft v. Free Speech Coalition** მსჯელობისას. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპიუტერული

<sup>17</sup> ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, მუხ. 3.1.c.

<sup>18</sup> ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 20.1.

<sup>19</sup> **New York v. Ferber**, 458 U.S. 747 (1982).

<sup>20</sup> **Osborne v. Ohio**, 495 U.S. 103 (1990).

ტექნოლოგიით გენერირებული ვიზუალური მასალის ფლობა, რომელიც არ აღბეჭდავს რეალურ ბავშვს, არ შეიძლება აიკრძალოს. დღეისათვის, როგორც ფედერალურ, ასევე ყველა შტატის დონეზე დასჯადია ბავშვთა პორნოგრაფიის როგორც დამზადება ასევე ფლობაც, როდესაც გამოსახული ბავშვი რეალურია.<sup>21</sup>

გერმანიაში ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა ყველა შემთხვევაში აკრძალულია, არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ფლობის აკრძალვა კი ხდება გარკვეული გამონაკლისებით. კერძოდ, იგი დეკრიმინალიზებულია თუკი მასალა დამზადებულია 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ და გამოსახული არასრულწლოვნის თანხმობით. გერმანიისგან განსხვავებით, ავსტრიაში ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა კანონით დაშვებულია პირადი მოხმარების მიზნით და თუკი გამოსახულია 14 წელს მიღწეული არასრულწლოვანი, რომელმაც აღნიშნულზე თანხმობა განაცხადა.

ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობის დასჯადობის კონსტიტუციურობაზე იმსჯელა კანადის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე **R V. SHARPE**, რომელშიც პირის ბრალდების ნაწილი ეხებოდა ბავშვთა პორნოგრაფიის პირადი გამოყენების მიზნით ფლობას.<sup>22</sup> ორი ინსტანციის სასამართლომ ფლობის აკრძალვა არაკონსტიტუციურად მიიჩნია, რადგან კანონის მიზანი ბავშვისთვის რეალური საფრთხის შემქმნელი ნაწარმოების აკრძალვაში დაინახა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მარტივი ფლობის აკრძალვისთვის ზიანის გონივრული საშიშროებაც საკმარისია, რადგან გარკვეულ შემთხვევებში პორნოგრაფიული მასალა დამნაშავეს მიერ გამოიყენება სხვა ბავშვის გრუმინგისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილებით ასევე დაწესდა გარკვეული გამონაკლისი, რომლის თანახმადაც პირი არ დაისჯება მხოლოდ მის მიერ/მონაწილეობით შექმნილი წერილობითი

---

<sup>21</sup> Hessick C.B., *The Expansion of Child Pornography Law*, *New Criminal Law Review*, UNC Legal Studies Research Paper N21, April, 2018, 10.

<sup>22</sup> *R v. Sharpe* (2001) SCC 2. File No. 27376, 26 January 2001.

ან ვიზუალური პორნოგრაფიული მასალის პირადი გამოყენების მიზნით ფლობისთვის.<sup>23</sup>

საინტერესოა კონვენციის დათქმა, რომლის თანახმადაც თითოეულ მხარეს უფლება აქვს, დასჯადად არ გამოაცხადოს იმ ბავშვის გამოსახულება, რომელიც ე.წ. სექსუალური სიმნიფის ასაკს მიღწეულია, ეს გამოსახულებები დამზადებულია მის მიერ და მის მფლობელობაშია მხოლოდ მისივე პირადი მოხმარებისთვის (ე.წ. **Self produced pornography**).<sup>24</sup> მართალია, ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანი თავისუფალი ნებით აწარმოებს საკუთარ პორნოგრაფიულ მასალას, თუმცა ხშირია ამ მასალის შემდგომი გავრცელების ფაქტიც, რამეთუ „თვით-ექსპლუატაციის“ მიზანი შეიძლება იყოს შემდგომი კომერციული, ან სხვა სახის სარგებლის მიღება. ამიტომაც, ბევრ ქვეყანაში მსგავსი ქმედება ისევე ისჯება, როგორც ბავშვთა პორნოგრაფია.<sup>25</sup> არც საქართველო სარგებლობს კონვენციის დათქმით და სექსუალური სიმნიფის ასაკს (საქართველოში 16 წელი) მიღწეული არასრულწლოვანს ზემოთ აღნიშნული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს.<sup>26</sup> ასეთ შემთხვევაში სადაოა, თუ რა შეიძლება იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან მეტად შეუთავსებელი - საკუთარი გენიტალიების ამსახველი ვიზუალური მასალის ფლობა, თუ აღნიშნული ქმედებისთვის დასჯა.

#### IV. ბავშვთა პორნოგრაფიის ტრანსნაციონალური გავრცელება

ინტერნეტმა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ერა შექმნა, რომელიც უპრეცედენტო შესაძლებლობებს სთავაზობს ადამი-

---

<sup>23</sup> Akdeniz Y., INTERNET CHILD PORNOGRAPHY AND THE LAW, National and International Responses, University of Leeds, 2008, 142-144.

<sup>24</sup> ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხ. 20.3.

<sup>25</sup> Leary M.G., Self Produced Child Pornography: The Appropriate Societal Response to Juvenile Self-Sexual Exploitation, Virginia Journal of Social Policy and the Law, Vol 15, N1, 2008, 4-6.

<sup>26</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 255.

ანს. არსებობს მოსაზრება, რომ ინტერნეტის სწრაფი ზრდის, პოპულარობისა და მისი კომერციული პოტენციალის გამოვლენის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ონლაინპორნოგრაფიაა.<sup>27</sup> ინტერნეტის უმთავრესი ხიბლი გავრცელების მასშტაბებსა და შედარებით ანონიმურ ბუნებაში მდგომარეობს. ბავშვთა პორნოგრაფიის გასაზიარებლად და გასავრცელებლად მისი მოყვარულები ინტერნეტის სხვადასხვა შესაძლებლობას იყენებენ, ამასთან, უფრო და უფრო პოპულარული ხდება დარქნეტი, იგივე ბნელი ვები.<sup>28</sup> კვლევების თანახმად, დარქნეტში ყველაზე ნახვადი მასალა სწორედ ბავშვთა პორნოგრაფიაა.<sup>29</sup>

ინტერნეტი არ ცნობს რომელიმე ქვეყნის საზღვრებს, იგი ტრანსნაციონალური მოვლენაა. შესაბამისად, ბავშვთა პორნოგრაფიის ინტერნეტის საშუალებით გავრცელებაც იძენს გლობალურ ხასიათს. ინტერნეტი ბავშვთა პორნოგრაფია მჭიდრო კავშირშია კიბერდანაშაულთან. შეიძლება ითქვას, რომ იგი კიბერდანაშაულის ე.წ. „ჰიბრიდული“ ჯგუფის ერთ-ერთი სახეა, ვინაიდან „ჰიბრიდული“ ჯგუფი მოიცავს ტრადიციულ დანაშაულებს, რომლებიც გაფართოვდა ინტერნეტის გამოყენებით<sup>30</sup> და აერთიანებს ინტერნეტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით ჩადენილ ყველა დანაშაულს.<sup>31</sup>

---

<sup>27</sup> ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, თბილისი, 2014, 275.

<sup>28</sup> Mezei K., Nagy Z., Organised Cybercrime Groups and Their Illicit Online Activities, *Studia Iuridica Auctoritate Universitatis Pecs Publicata* 154, 2016, 145.

<sup>29</sup> Haasz A., Underneath It All: Policing International Child Pornography on the Dark Web, *Syracuse Journal of International Law and Commerce* N43, 2016, 360.

<sup>30</sup> Marcum C.D., Higgins George E., Freiburger Tina L., Ricketts, Melissa L., Policing possession of child pornography online: investigating the training and resources dedicated to the investigation of cyber crime, *International Journal of Police Science & Management*, Vol. 12, Number, 2010, 518.

<sup>31</sup> ვასმერი მ.პ., კიბერდანაშაული – ანმყო და მომავალი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, პირველი გამოცემა, აპრილი, 2018, 13.

კიბერდანაშაულთა უმრავლესობა ჩადენილია ინდივიდების მიერ, თუმცა იზრდება მსგავსი დანაშაულების ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენის ფაქტები.<sup>32</sup> რაც შეეხება ბავშვთა პორნოგრაფიას, შესაძლებელია, დამნაშავე მარტო მოქმედებდეს ვებგვერდის შექმნისა და მასალის განთავსების დროს, თუმცა მასალის გავრცელება უმრავლეს შემთხვევაში ჯგუფური ქმედებაა.<sup>33</sup> ბავშვთა პორნოგრაფიიდან სარგებლის მიღების მიზნით იქმნება დანაშაულებრივი ქსელები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბაზრის ერთ მხარეს დგანან ადამიანები, რომელთა ინტერესი კომერციული მოგებაა, მეორე მხარეს კი ისინი, ვისაც სექსუალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სურთ. ბაზრის საზღვრები აქცევს ინტერნეტ ბავშვთა პორნოგრაფიას ტრანსნაციონალურ მოვლენად.<sup>34</sup>

## **V. საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციების როლი ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში**

ბავშვთა პორნოგრაფიის დანაშაულის ტრანსნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა არსებითად დამოკიდებულია სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაზე, მათ შორის საპოლიციო კუთხით. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკეულ ქვეყნებთან, ასევე ისეთ საპოლიციო ორგანიზაციებთან, როგორცაა ინტერპოლი და ევროპოლი.

ინტერპოლის მიერ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას მისი საქმიანობის ისეთი ძირითადი მიმართულებები განაპირობებს, როგორცაა გლობალური საკომუნიკაციო საპო-

---

<sup>32</sup> Müller T., *Transnational Organised Crime and the Sale of Children, Child Prostitution, and Pornography*, in: *International Law and Transnational Organized Crime*, Edited by Rehauck P., Peterke S., oxford university press, 2016, 289, 296.

<sup>33</sup> Gercke M., *The Globalization of Crime a Transnational Organized Crime Threat Assessment*, United Nations Office on Drugs and Crime, 2010, 211.

<sup>34</sup> Gercke M., *The Globalization of Crime a Transnational Organized Crime Threat Assessment*, United Nations Office on Drugs and Crime, 2010, 216.

ლიციო მომსახურების განევა, მონაცემთა ბაზით პოლიციის უზრუნველყოფა და პოლიციელთა სწავლება – განვითარება.<sup>35</sup>

ინტერპოლმა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, წლების განმავლობაში, არა ერთი მექანიზმი განავითარა. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე სპეციალიზებული ჯგუფის ფორმირება, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიზნით წევრებს შორის ინფორმაციის სწრაფი გაცვლა და თანამშრომლობის გაღრმავებაა. სპეციალიზებული ჯგუფი დაახლოებით 40 ქვეყნის 100 პოლიციელს აერთიანებს.<sup>36</sup>

ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ინტერპოლის საქმიანობა ძირითადად მსხვერპლის იდენტიფიკაციაზეა ორიენტირებული, ვინაიდან მსხვერპლის ვინაობის დადგენა მისი შემდგომი ექსპლუატაციისგან დაცვის ერთგვარი გარანტი და დამნაშავის გამოვლენის წყაროა, ვინაიდან იგი ხშირად მჭიდრო კავშირშია მსხვერპლთან. ამ მიზნით, ინტერპოლი, 2009 წლიდან იყენებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მონაცემთა ბაზას, რომელშიც ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა ინახება. სპეციალური პროგრამის საშუალებით შესაძლებელი ხდება მასალაზე გამოსახულ მსხვერპლს, მოძალადესა და ადგილმდებარეობას შორის კავშირის განსაზღვრა და იმის გარკვევა, არის თუ არა კონკრეტული ფოტო ან ვიდეო მასალა სხვა ქვეყნის სამართალდამცავი უწყების მიერ უკვე გამოკვლეული. აღსანიშნავია, რომ ბაზაზე დაშვება დაახლოებით 60 ქვეყნის სპეციალიზებულ გამომძიებელს აქვს. ამ ბაზაში დაახლოებით 1,5 მილიონი ფოტო და ვიდეო ინახება, რომელთა წყალო-

<sup>35</sup> <<https://www.police.gov.hk/offbeat/908/eng/n12.htm>> [03.06.2020]

<sup>36</sup> Sadoff D.A., How Law Enforcement Cooperation Abroad Is Pivotal to Sustainable Development at Home, *oston University International Law Journal*, N2, 2017, 340.

ბითაც დაახლოებით 19,481 მსხვერპლისა და 8,897 მოძალადის იდენტიფიკაცია მოხდა.<sup>37</sup>

ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთი იარაღი სპეციალური ცირკულარის გამოცემაა. აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლაში ძირითადად გამოიყენება ლურჯი, ან წითელი ცირკულარი. ლურჯი ცირკულარი პირის იდენტიფიკაციის, კრიმინალური წარსულის ან ადგილმდებარეობის დადგენის, წითელი კი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის დაკავებისა და ექსტრადიციის მიზნით გამოიყენება.<sup>38</sup>

გარდა ამისა, ინტერპოლმა შექმნა იმ ვებგვერდების სია, რომლებზეც განთავსებულია ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა. ვებგვერდი ამ სიაში ხვდება, თუკი იგი შეიცავს პორნოგრაფიას, რომელზეც რეალური ბავშვია გამოსახული, ეს ბავშვი 13 წელს მიუღწეველია/აღიქმება ასეთად, ან გამოსახული ძალადობა თავისი შინაარსით მძიმეა.<sup>39</sup> აღნიშნული სია ხელმისაწვდომია ყველა ეროვნული ცენტრალური ბიუროსთვის.

ინტერპოლის მიერ ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი და დასამახსოვრებელი ოპერაციაა „VICO“.<sup>40</sup> ოპერაციის ფარგლებში ეძებდნენ ინტერპოლის მონაცემთა ბაზაში შენახულ ფოტოებზე გამოსახულ მოძალადეს. 2007 წელს გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციისა და ინტერპოლის ბავშვთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მორეაგირე სპეციალიზებული ჯგუფის თანამშრომლობით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა დაფარული სახის ნაკვთების გამოაშკარავება, რის შემდეგაც

---

<sup>37</sup><<https://www.interpol.int/Crimes/Crimes-against-children/International-Child-Sexual-Exploitation-database>> [11.06.2020]

<sup>38</sup> Calcara G., Role of INTERPOL and Europol in the Fight against Cybercrime, with Particular Reference to the Sexual Exploitation of Children Online and Child Pornography, Masaryk University Journal of Law and Technology, N1, 2013, 24.

<sup>39</sup><<https://www.interpol.int/Crimes/Crimes-against-children/Blocking-and-categorizing-content>> [17.06.2020]

<sup>40</sup><<https://www.itu.int/en/cop/case-studies/Documents/Interpol.pdf>> [17.06.2020]

მოძალადის ფოტო გამოქვეყნდა ინტერპოლის გვერდზე. ინტერპოლის მიერ ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან თანამშრომლობის დაწყებიდან 3 დღეში გაირკვა გამოსახული პირის ვინაობა და სხვა საჭირო ინფორმაცია. მოძალადე აღმოჩნდა ქრისტოფერ პოლ ნეილი, მეტსახელად „ვიკო“. მისი იდენტიფიკაციის შემდეგ ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ მის მიმართ ნითელი ცირკულარი გამოსცა, რის შედეგადაც იგი მალე დააკავეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ნითელი ცირკულარი გამოიცა ისეთი პირის მიმართ, რომელსაც ბრალდებულის სტატუსიც კი არ ჰქონია.<sup>41</sup>

რაც შეეხება ევროპოლს, მისი მანდატი ვრცელდება მათ შორის ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაზეც.<sup>42</sup> აღნიშნული ორგანიზაციის მოქმედების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თითოეულ წევრ ქვეყანაში არსებული, ევროპოლთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პუნქტი.<sup>43</sup> კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ცალკეული ქვეყნების მიერ მივლენილ მეკავშირე ოფიცრებს.<sup>44</sup> აღსანიშნავია, რომ ევროპოლთან ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარდა, შეთანხმების საფუძველზე თანამშრომლობენ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიც<sup>45</sup>, მათ შორისაა საქართველოც.<sup>46</sup>

ზოგადად, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლის საქმიანობა მოიცავს ინფორმაციის მიღებას, შენახვას, ანალიზს, დამუშავებასა და გაცვლას. ევროპოლი ეხმარება შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს გამოძიების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს მათ გამოძიების დაწყების შუამდგომ-

---

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> Council Decision of 6 April 2009 establishing the European Police Office (Europol) (2009/371/JHA), ANNEX (c).

<sup>43</sup> იქვე: Art. 8.

<sup>44</sup> იქვე: Art. 9.

<sup>45</sup> European Police Office (Europol): Past, Present and Future, Klimek Libor, Czech Yearbook of International Law, vol. 5., Juris Publishing, 2014, 220.

<sup>46</sup> მეკავშირეობის შეთანხმება საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის.

ლობით,<sup>47</sup> რადგან თავად არ აქვს გამოძების დამოუკიდებლად ჩატარების უფლებამოსილება.<sup>48</sup>

ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლის **modus operandi** სხვადასხვაგვარია. ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს ონლაინ ბავშვთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში. იგი, ინტერპოლთან ერთად, არის ორგანიზაცია VGT-ს წევრი, რომელიც აერთიანებს მსოფლიო სამართალდამცავ უწყებებს ონლაინ ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე, ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც იდენტიფიცირდება და იბლოკება ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი ვებგვერდები. ევროპოლის ანალიტიკური სისტემის ფარგლებში მოქმედებს AP Twins ინფორმაციის დამუშავების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ყველა ფორმის პრევენციასა და აღკვეთაზე, მათ შორის ბავშვთა პორნოგრაფიაზე.<sup>49</sup> ონლაინ ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვანია ევროპოლის ფარგლებში არსებული კიბერდანაშაულის ცენტრის (EC3) როლი. სწორედ ამ ცენტრის მონაწილეობით განხორციელდა 2020 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაცია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ. კერძოდ, ჰოლანდიის, გერმანიისა და აშშ-ს სამართალდამცავი უწყებებისა და ევროპოლის კიბერდანაშაულის ცენტრის თანამშრომლობით ჩატარდა ოპერაცია ვებგვერდ **DarkScandals**-ის წინააღმდეგ. აღნიშნული ვებგვერდი ხელმისაწვდომი იყო, როგორც ბნელ ასევე ღია ვებში და განთავსებული იყო მხოლოდ ძალადობრივი სექსუალური კავშირის ამსახველი ვიდეო მასალა. საპოლიციო თანამშრომლობის

---

<sup>47</sup> Council Decision of 6 April 2009 establishing the European Police Office (Europol) (2009/371/JHA), Art. 4.

<sup>48</sup> Müller T., Transnational Organised Crime and the Sale of Children, Child Prostitution, and Pornography, in: International Law and Transnational Organized Crime, Edited by Rehauck P., Peterke S., oxford university press, 2016, 496.

<sup>49</sup><<https://www.europol.europa.eu/crime-areas-trends/europol-analysis-projects>> [11.07.2020]

შედეგად გამოკვლეულ იქნა ასობით ფაილი, რის საფუძველზეც დაკავებულ იქნა აღნიშნული ვებგვერდის ადმინისტრატორი.<sup>50</sup>

ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპოლის კოორდინაციით განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ოპერაცია იყო ასევე „იკარუსი“, რომლის შედეგადაც 22 ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 269 სავარაუდო დამნაშავე აღმოაჩინეს, მათგან 112 კი დააკავეს. აღნიშნულ ოპერაციაში ევროპოლის როლი ძირითადად მონაცემთა დამუშავებასა და დაცული საკომუნიკაციო არხებით ინფორმაციის გაცვლის, ასევე ციფრული ექსპერტიზის პროცესში გამოიხატა.<sup>51</sup>

ეფექტიანია საქართველოს თანამშრომლობა ევროპოლთან. აღნიშნულის მაგალითია ბავშვთა პორნოგრაფიის ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური დანაშაულებრივი ქსელის გამოვლენა. აღნიშნული ოპერაციის მასალებიდან ირკვევა, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის ერთ-ერთ საქმეზე ავსტრალიაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში კვალი იკვეთებოდა მათ შორის საქართველოშიც, რის გამოც, შემდგომი საპოლიციო თანამშრომლობისა და მონაცემთა დაცული არხით გაცვლის თხონით, ავსტრალიის მეკავშირე ოფიცერმა ევროპოლის საინფორმაციო არხით მიმართა საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს. ევროპოლთან საპოლიციო თანამშრომლობისა და სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი უწყებების მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვნის ვაჭრობისა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება-გასაღების ქსელი გამოვლინდა. დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი, მათ შორის პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებაში ჩაბმული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები. როგორც გამოძიების მასალებიდან იკვეთება დაკავებულ აშშ-ის და ავსტრალიის მოქა-

<sup>50</sup><https://www.europol.europa.eu/newsroom/news/dark-web-child-abuse-administrator-of-darkscandals-arrested-in-netherlands> [11.07.2020]

<sup>51</sup><https://www.europol.europa.eu/newsroom/news/joint-action-in-22-european-countries-against-online-child-sexual-abuse-material-in-internet> [11.07.2020]

ლაქებს, თბილისში, ნაქირავებ ბინებში კონსპირაციულად მონყობილი ჰქონდათ ფოტოსალონები და უცხოეთში რეალიზაციის მიზნით არასრულწლოვნების გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიულ ნაწარმოებს ამზადებდნენ.<sup>52</sup>

მსგავსი ოპერაციები კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს, რომ ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციების მონაწილეობით გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ცალკეული ქვეყნის დამოუკიდებელი ძალისხმევა.

## VI. დასკვნა

ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლა, მისი ტრანსნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, თანამედროვე სამყაროსთვის დიდი გამოწვევაა. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის როლი. საპოლიციო თანამშრომლობა კი ვერ იქნებოდა ისეთი მასშტაბური და ეფექტური, რომ არა მსოფლიოს უმსხვილესი საპოლიციო ორგანიზაციები – ინტერპოლი და ევროპოლი. მათ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკულ განხორციელებაში, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა ახალი ფენომენია.

---

<sup>52</sup><<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-arasrultslovnebis-pornografiis-ukanonod-damzadeba-gasaghebisa-da-trefikingis-braldebit-organizebuli-danashaulebrivi-djgufis-11-tsevri-daakava/12975>> [08.03.2020]

## გამოხატვის თავისუფლების მიმართება ღირსებისა და პატივის უფლებასთან

### I. შესავალი

გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლების ისტორია საქართველოში იწყება 1921 წლის კონსტიტუციით, რომელიც ცნობილია ქვეყნის უზენაეს კანონში ფუნდამენტურ უფლებათა სრულყოფილად წარმოჩენით. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება აღიარებულია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით. ის დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი ფუნქციური ელემენტია და მისი დაცვის ხარისხიც, შესაბამისად, საკმაოდ მაღალია.

საქართველოს კანონმდებლობა პლურალისტური დემოკრატიის პრინციპს ემყარება. მის უმაღლეს კონსტიტუციურ ფასეულობას სწორედ თავისუფალი ადამიანი წარმოადგენს, რომლის დევნაც აზრისა და მისი გამოხატვის გამო დაუშვებელია. გამოხატვის უფლების დაცვის ხარისხი საკმაოდ მაღალია, თუმცა, შესაძლებელია, ის წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა ადამიანის უფლებებსა და, მათ შორის, ღირსებასთან. აქედან გამომდინარე, როდესაც საქმე გვაქვს გამოხატვის უფლების დასაშვები ფარგლებიდან გადახვევასთან, ამ უფლებისათვის დაწესებულ კონსტიტუციურ საპირწონეს შეიძლება სხვათა უფლებებში მოაზრებული ღირსებების დაცვა წარმოადგენდეს.

ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ღირსებისა და პატივის უფლებას შორის კონფლიქტთან მიმართებით საინტერესოა აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შედარება. საჭიროა სწორედ ისეთი საქმეების ხსენება, რომლებითაც წარ-

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრი.

მოჩნდება გამოხატვის თავისუფლებისა და ღირსების ხელშეუვალობის კონფლიქტის ძირითადი ასპექტები.

ისეთ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ერთის უფლება მთავრდება იქ, სადაც მეორესი იწყება, მწვავეა ადამიანის ძირითად უფლებათა კოლიზიის დროს საქმის რომელიმე უფლების სასარგებლოდ გადაწყვეტის პრობლემა, ამიტომ, თეორიისა და პრაქტიკის განხილვის საფუძველზე, შემოგთავაზებთ ასევე დასახელებულ პრობლემასთან მიმართებით სამართლებრივ ანალიზს.

## **II. გამოხატვის თავისუფლება**

### **1. გამოხატვის თავისუფლების ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში**

დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრის თავისუფლება გამორჩეულადაა დაცული. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.<sup>1</sup> ესაა უფლება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ და ფუნქციურ ელემენტს წარმოადგენს, ის საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის.<sup>2</sup> ეს არის ერთ-ერთ იმ ძირითად უფლებათაგანი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ კანონმდებლობაში ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციიდან მოყოლებული. ამ კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ღირებულება ვლინდება იმაში, რომ მასში გაცილებით სრულყოფილადაა წარმორჩენილი ფუნდამენტურ უფლებათა არსი, ვიდრე იმ დროის ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებში.

---

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1, მე-2 წინადადება.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია. საქართველომ, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ნგრევის შედეგად ხელახლა აღმოცენდა, მიზანშეწონილად მიიჩნია, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს დაცვის განსაკუთრებული გარანტიები კონსტიტუციაში ჩაენერა. საბჭოთა სახელმწიფო არ ცნობდა საზღვარს ადამიანის შინაგან სამყაროსა და საზოგადოებრივ სივრცეს შორის, დაუბრკოლებლად ერეოდა მის კერძო სფეროში, არ აღიარებდა რწმენის და შეხედულებების არა მხოლოდ გამოხატვის, არამედ მათი თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას.<sup>3</sup> სწორედ ამ ტოტალიტარული წარსულის გათვალისწინებით, 1995 წლის კონსტიტუციაში კანონმდებელმა გაითვალისწინა უმნიშვნელოვანესი ნორმა. ეს არის ნორმა, რომელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის.<sup>4</sup>

გამოხატვის თავისუფლება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების არსებობის საფუძველია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუძლებელია, თავისუფალი ინფორმაციის გარეშე არსებობდეს თავისუფალი აზრი. სწორედ აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოების მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას<sup>5</sup>. ამიტომ, პლურალისტულ საზოგადოებაში, სადაც გამოხატვის თავისუფლება უმაღლესი კონსტიტუციური ფასეულობაა, აუცილებელია მის ხელშესაწყობად ზემოხსენებული პირობების არსებობა.

---

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველო, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.<sup>6</sup> ეს უფლებები და თავისუფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ზღუდავს როგორც ხალხს, ასევე სახელმწიფოს. გამოხატვის თავისუფლება სწორედ ასეთი ძირითადი, საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა. ეჭვგარეშეა, რომ ძირითადი უფლებების პირველადი დანიშნულებაა, დაიცვას თითოეული მოქალაქე საჯარო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან. ამგვარად, ძირითადი უფლებები წარმოადგენს მოქალაქეების სახელმწიფოსაგან თავდაცვის უფლებას. აღნიშნული გამომდინარეობს ძირითადი უფლებების იდეის ისტორიული განვითარებიდან და იმ ისტორიული მოვლენებიდან, რამაც გამოიწვია სახელმწიფოების მიერ ძირითადი უფლებების დამკვიდრება და ასახვა თავიანთ კონსტიტუციებში.<sup>7</sup>

მაშასადამე, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება მჭიდროდაა დაკავშირებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსთან და მისი განუყოფელი კომპონენტია.

## **2. რომელი სიკეთებია დაცული აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებით?**

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი იცავს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას. ამასთან, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეჟიმს აწესრიგებს 2004 წლის 24 ივნისს მიღებული კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც ამ უფლების მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. რა არის ეს გარანტიები, რომლებსაც კანონი და კონსტიტუცია გვთავაზობს?

პირველ რიგში, კანონმდებლობით დაცულია მოსაზრებები (შეხედულებები) და ფაქტები. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა არის

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4, პუნქტი 2, 1-ლი წინადადება.

<sup>7</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, 96-97.

მოსაზრებებისა და ფაქტების გამიჯვნა. აზრში, მოსაზრებაში, იგულისხმება შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.<sup>8</sup> ადამიანის აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რითაც ჩვენი კანონი უახლოვდება აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორებით დადგენილ სტანდარტს. ქართულ კანონმდებლობაში აბსოლუტური პრივილეგია<sup>9</sup> გულისხმობს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას. მოსაზრებათა ნამდვილობას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ვერ დავამტკიცებთ. მაშასადამე, შეუძლებელია, ინდივიდს პასუხისმგებლობა დავაკისროთ მისი სუბიექტური დამოკიდებულების გამო ამ ინდივიდსა და მისი გამონათქვამის საგანს შორის.<sup>10</sup>

რაც შეეხება ფაქტებს, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ესენი არის რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად, მაშინ, როცა მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია<sup>12</sup>, ფაქტის გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. აქ კი უმთავრეს პრობლემად გვევლინება ის, რომ აზრი ხშირად ემყარება ფაქტებს, ყალიბდება მათ საფუძველზე. გამონათქვამების დასაშვებობა კი ძირითადად

<sup>8</sup> საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ბ“.

<sup>9</sup> იქვე, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ფ“.

<sup>10</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, 213.

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>12</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, 220.

სწორედ ფაქტობრივი ელემენტების სისწორეზეა დამოკიდებული.<sup>13</sup>

### **3. რა შემთხვევებშია ამ ძირითადი უფლების შეზღუდვა დასაშვები?**

ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზღუდავს ამ უფლების განხორციელებას. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს ამ მუხლით დაცულ უფლებათა შეზღუდვის საფუძვლებს: (1) კანონის შესაბამისად; (2) დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად; (3) სხვათა უფლებების დასაცავად; (4) კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან (5) სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. უმნიშვნელოვანესია, რომ ამ უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა შესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს. აუცილებელია, არსებობდეს ჩარევის ლეგიტიმური მიზანი და განხორციელებულ ქმედებას (ჩარევას) შორის თანაზომიერი კავშირი. შესაბამისად, საშუალება იყოს მიზნის თანაზომიერი.

ქვემოთ სწორედ სხვათა უფლებების დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე მექნება მსჯელობა, რამეთუ სწორედ ამ საკითხზეა აგებული ძირითადი თემა. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც გამოხატვა კვეთს ზღვარს, გავლელს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის.<sup>14</sup>

გამოხატვის თავისუფლება ხშირად მოდის კოლიზიაში სხვა უფლებებთან. აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, ძირითადი უფლების შეზღუდვა სხვა უფლების საფუძველზე მხოლოდ იმ

---

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და აეთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შემთხვევაშია გამართლებული, როცა ეს უკანასკნელი პირველზე მაღლა დგას. მოცემულ სიტუაციაში საჭიროა კანონით დაცულ ინტერესთა შედარება. ეს არის სწორედ მოედანი, რომელზედაც თამაშში ერთგებიან დაპირისპირებული სამართლებრივი სიკეთეები.<sup>15</sup> ამ თამაშში ერთმანეთის პირისპირ ხშირად ღირსების უფლება ერთგება. ამ ძირითად უფლებასთან კოლიზიის გადანყვეტა საკმაოდ რთულია. აღნიშნულ საკითხზე კი შეუძლებელია, ყურადღების გარეშე დავტოვოთ როგორც საქართველოს, ასევე ევროპასა და აშშ-ში განვითარებული სასამართლო პრაქტიკა.

### **III. უცხო ქვეყნების პრაქტიკა**

#### **1. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა**

გამოხატვის თავისუფლება აშშ-ში განსაკუთრებული დაცვის სტანდარტით სარგებლობს. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ერთ-ერთი გარდამტეხ მოვლენას წარმოადგენს ბრანდენბურგის საქმე, რომლის შედეგადაც უზენაესმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის სრულიად ახალი სტანდარტი დაადგინა. კუ-კლუქს-კლანის ლიდერი, ბრანდენბურგი, ოჰაიოს შტატის სინდიკალიზმის აქტის თანახმად, რომელიც კრძალავდა ნებისმიერი ჯგუფის, საზოგადოების ან პირთა ჯგუფის ნებაყოფლობით შეკრებას კრიმინალური სინდიკალიზმის მოწოდების ან სწავლების მიზნით, დამნაშავედ ცნეს. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ბრანდენბურგის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაადგინა სრულიად ახალი სტანდარტი, რომელიც გამოხატვის თავისუფლების დამცავ საუკეთესო მექანიზმად გვევლინება. ამ სტანდარტით დადგენილია სამი ელემენტი, რომელიც საჭიროა გამოხატვის აკრძალვისათვის:

1. კანონის დარღვევისაკენ პირდაპირი და ცალსახა მოწოდება;
2. გამოხატვა, რომელიც თავისი არსით მოუწოდებს კანონის დაუყოვნებლივ დარღვევისკენ;

---

<sup>15</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, 225.

3. მაღალი ალბათობა, რომ მონოდება გამოიწვევს კანონის დაუყოვნებლივ დარღვევას.<sup>16</sup>

მაშასადამე, გამოხატვა აბსოლუტურადაა დაცული მაშინ, როდესაც ის არ ემსახურება პირდაპირ და ცალსახა მონოდებას. გამოხატვის შეზღუდვა დაუშვებელია, თუკი მისი მიზანი არაა უკანონო ქმედების მყისიერი გამოწვევა და არ არსებობს ამ ქმედების განხორციელების მაღალი ალბათობა. გამომდინარე აქედან, აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულია ძალადობისა და სიძულვილის ქადაგებაც.

აშშ-ის კონსტიტუციით დაცულია ასევე ცილისწამება, უხამსობა, შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელება. ყოველივე ეს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს ქვეშაა მოქცეული და მისი დაცვის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია, როდესაც ის უკავშირდება პრესას, საზოგადოებრივ ინტერესს, დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფალი, შეუზღუდავი აზრის ჩამოყალიბებას „გაუფილტრავი“ ინფორმაციის საფუძველზე.

ზემოთქმულთან დაკავშირებით საინტერესოა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Red Lion Broadcasting Co. Inc-ი კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ*<sup>17</sup>. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, *Red Lion Broadcasting*-მა, ლიცენზირებულმა მაუწყებელმა, გამოაქვეყნა რადიო WGCB-ს მიერ გადაცემული ბილი ჰარგისის ინტერვიუ, რომელშიც განხილული იყო ფრედ კუკის წიგნი „გოლდვოტერი - მემარჯვენე ექსტრემისტები“. ამ გადაცემის შემდეგ ფრედ კუკმა მოითხოვა უფასო პასუხის უფლება, რამეთუ, მისი თქმით, გადაცემაში მის მიმართ „პიროვნებაზე შეტევა“ განხორციელდა.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნიკაციების ფედერალურმა კომისიამ დაასკვნა, რომ ჰარგისის ინტერვიუ კუკის „პიროვნებაზე შეტევას“ წარმოადგენდა და *Red Lion*-მა სამართლიანობის დოქტრინა დაარღვია, რომლის თანახმადაც, როდესაც სადავო საკითხების პრევენტაციისას ხდებოდა შეტევა კონკრეტული პირის პატიოსნებაზე, ხასიათზე, ღირსებასა და მსგავს პიროვნულ მახასიათებლებზე, მაუწყებელი ვალდებული იყო,

<sup>16</sup> გამოხატვის თავისუფლება, I ტ., გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თბილისი, 2005, 17, 80.

<sup>17</sup> იქვე, 183.

გონივრულ ვადაში მიეწოდებინა ამ პირისათვის გადაცემის ჩანაწერი ან მისთვის პასუხის უფლება შეეთავაზებინა. ამ დოქტრინის არსი მდგომარეობს სადავო საზოგადოებრივი საკითხების დროს ორივე მხარის წარმოდგენასა და სამართლიანი რეპორტაჟის მომზადებაში.

კომისიამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ინტერესი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ვრცელდება სამაუწყებლო საშუალებებით საზოგადოებისათვის საინტერესო თემების განხილვაზეც. შესაბამისად, მაუწყებელს ეკისრებოდა ვალდებულება, რომ მოეხდინა საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი თემების ადეკვატური გაშუქება და გაშუქების პროცესში საშუალება მიეცა ყველა დაპირისპირებული მხარისათვის, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები.<sup>18</sup>

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, დაადგინა რა, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი არის საზოგადოების უფლება, მიიღოს ინფორმაცია სოციალურ, პოლიტიკურ თუ სხვა საკითხებზე, სამართლიანობის დოქტრინა და „პიროვნების შეტევის წესი“ აშშ-ის კონსტიტუციის პირველ შესწორებას არ არღვევდა.

სწორედ ზემოხსენებული საზოგადოებრივი ინტერესი აღუდგება წინ იმ უფლებებს, რომელთა მიერ დაცული ინტერესების საზღვრებშიც ხშირად იჭრება გამონათვის თავისუფლება. ასე, მაგალითად, აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ცილისწამებასთან დაკავშირებით საქმეში „*ნიუ იორკ ტაიმსი*“ *სალივანის წინააღმდეგ*<sup>19</sup>. აღნიშნულ საქმეში ჩამოყალიბდა სტანდარტი, რომლის თანახმადაც, საჯარო პირს არ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ცილისწამებლური განცხადებების გამო, თუ არ დამტკიცდება, რომ ეს განცხადებები გაკეთებული იყო ან განზრახ, ან მათი სიმცდარის გამო, ან უყურადღებობის მიზეზით. სწორედ ეს სტანდარტი გავრცელდა თავდაპირველად საქმეზე *გერცი რობერტ უელშის წინააღმდეგ*<sup>20</sup>, თუმცა უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კერძო ინდივიდებზე ამ სტანდარტის გავრცელება შეუსაბამოა. სასამართლოს განმარტებით,

<sup>18</sup> იქვე, 185.

<sup>19</sup> იქვე, 173.

<sup>20</sup> იქვე, 198.

კერძო პირებს ცილისმწამებლური განცხადებებით მიყენებული ზიანისგან დაცვის უკეთესი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე საჯარო მოხელეს. სასამართლოს თქმით, აგრეთვე, მათ უარი არ უთქვამთ საკუთარი სახელისა და ღირსების დაცვაზე.<sup>21</sup>

გამომდინარე საზოგადოებრივი ინტერესის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს პრესის პრივილეგიურ როლს გამომხატვის უფლების რეალიზებაში. საქმეში „მაიამი ჰერალდი“ ტორნილოს წინააღმდეგ<sup>22</sup>, რომელშიც პეტ ტორნილო, ფლორიდის მასწავლებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ფლორიდის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში მონაწილე, დავას აწარმოებდა გაზეთ „მაიამი ჰერალდის“ წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი ინფორმაციის განთავსების გამო, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ გაზეთი არის უფრო მეტი, ვიდრე ახალი ამბების, კომენტარების თუ რეკლამების უბრალო გამტარი.<sup>23</sup> პიტსბურგის საქმეში განვითარებული სტანდარტის თანახმად კი, არც ერთ სამთავრობო უწყებას - ადგილობრივს, სახელმწიფოებრივსა თუ ფედერალურს, არ შეუძლია, უკარნახოს პრესას, თუ რისი დაბეჭდვის უფლება აქვს და რისი არა“.<sup>24</sup>

აღსანიშნავია, ასევე, რომ უზენაესმა სასამართლომ საქმეში *კოქსის სამაუწყებლო კორპორაცია კონის წინააღმდეგ* დაუშვებლად მიიჩნია პრესისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის (პირადული საიდუმლოების) გამოქვეყნებისათვის, მიუხედავად იმის გათვალისწინებისა, თუ რამდენად საზიანო იყო ეს ამ პირის რეპუტაციისათვის ან რამდენად შელახავდა ეს მის პირად გრძნობებს. უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა პრესის პრივილეგიას, გაავრცელოს ამომწურავი ინფორმაცია სასამართლო პროცესებზე განვითარებული მოვლენების შესახებ.<sup>25</sup>

---

<sup>21</sup> იქვე, 200.

<sup>22</sup> იქვე, 201.

<sup>23</sup> იქვე, 205.

<sup>24</sup> იქვე, 204.

<sup>25</sup> იქვე, 207.

## 2. სასამართლო პრაქტიკა ევროპაში

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას უახლოვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*<sup>26</sup>. მოსარჩელე ლინგენსი, რომელიც ვენის ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტი იყო, 1975 წელს გამოქვეყნებულ ორ სტატიაში აკრიტიკებდა არჩევნებში გამარჯვებულ ფედერალურ კანცლერ ბრუნო კრაისკის. კანცლერის ქცევებს ის ახასიათებდა, როგორც ამორალურსა და უღირსს. კანცლერის კერძო საჩივრის საფუძველზე, ავსტრიის სასამართლოებმა ლინგენსი 15 000 შილინგით დააჯარიმეს. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, მან საქმის განხილვისას ხაზი გაუსვა პრესის თავისუფლების მნიშვნელობას: „ამ პრინციპებს განსაკუთრებული ღირებულება აქვს, რადგან პრესას ეხება. მაშინ, როდესაც პრესა მოვალეა, არ გადააბიჯოს დაწესებულ საზღვრებს, მათ შორის, „სხვათა რეპუტაციის დაცვის“ სახით, ის არასდროს არის ვალდებული, პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდოს იმგვარადვე, როგორც ამას აკეთებს საჯარო ინტერესის სხვა სფეროებში. ინფორმაციის მიწოდების ამოცანა არამარტო პრესის წინაშე დგას: ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია.“<sup>27</sup>

აზრის თავისუფალი გამოხატვის ძირითადი უფლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გერმანიის ძირითად კანონშიც. როგორც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პალატას არაერთხელ აღუნიშნავს თავის გადაწყვეტილებებში, აზრის თავისუფალი გამოხატვა, როგორც პიროვნებისა და ინდივიდუალობის უშუალო გამოხატულება, ერთ-ერთი ყველაზე „დახვეწილი“ ძირითადი უფლებაა, რაც მას განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს. ამას გარდა, აღნიშნულ უფლებას თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აქვს განსაკუთრებული ფუნქცია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ინტელექტუალურ, გონებრივ ბრძოლასა და იდეების, ინტერესების გაცვლას, რასაც „ეგზისტენ-

<sup>26</sup> იქვე, 272.

<sup>27</sup> იქვე, 273.

ციალური მნიშვნელობა აქვს აღნიშნული სახელმწიფო სისტემის ფუნქციონათვის“.<sup>28</sup>

დემოკრატიული საზოგადოების არსიდან გამომდინარე, პრესა სწორედ ის გამოხატვის საშუალებაა, რომელიც საზოგადოებას ხელს უწყობს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში. პოლიტიკური დებატების თავისუფლება კი წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების კონცეფციის ბირთვის, რასაც კონვენციაში უპირატესი ადგილი უკავია.<sup>29</sup>

პრესის თავისუფლებასთან ერთად, ამასთანავე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო რადიომაუნყებლობას. რადიო, ტელევიზია, პრესა – ეს ის საშუალებებია, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ხალხის ურთიერთდაკავშირებასა და ინტეგრაციას სხვადასხვა სფეროში. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით რადიოგადაცემათა ორგანიზებისათვის დანესებულია კანონისმიერი შეზღუდვებიც. ასეთ შემთხვევებში, როცა რადიომაუნყებლობის თავისუფლება კოლიზიაში მოდის სხვა სამართლებრივ სიკეთებთან, გერმანული სასამართლო პრაქტიკა მიმართავს ამ დაპირისპირებულ სიკეთეთა ურთიერთშედარების გზას.

ისეთი მაღალი კონსტიტუციური ღირებულებების დაცვა, როგორებიცაა ადამიანის პიროვნება და აზრის გამოხატვის თავისუფლება, უნდა ემყარებოდეს ურთიერთბალანსს. თუ აღნიშნული ბალანსის მიღწევა შეუძლებელია, ცალკეული შემთხვევის თავისებურებებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, უნდა გადაწყვედეს, თუ რომელი ინტერესი იქნება პრიორიტეტული მოცემულ შემთხვევაში.<sup>30</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ღირსება გერმანიის კონსტიტუციურ სამართალშემოქმედებაში დიდი მნიშვნელობით სარ-

---

<sup>28</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, 99.

<sup>29</sup> გამოხატვის თავისუფლება, I ტ., გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თბილისი, 2005, 274.

<sup>30</sup> შვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, 134.

გებლობს, ეს კონფლიქტს აზრის თავისუფლებასა და ღირსებას შორის ავტომატურად ღირსების სასარგებლოდ არ წყვეტს.

საყურადღებოა, რომ, აშშ-სგან განსხვავებით, ზოგჯერ იმ სფეროებშიც, რომლებზეც საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი ვრცელდება, ხშირად უკან იხევს აზრის თავისუფლება. ასე, მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთი საქმეში მიიღო გადაწყვეტილება, სატელევიზიო კომპანია “ZDF“-ისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის, აეკრძალა დოკუმენტური ფილმის ჩვენება.<sup>31</sup> საინტერესოა, ასევე, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „შტრაუსის კარიკატურის“ საქმეში, სადაც სასამართლომ ერთ-ერთ სატირულ ჟურნალში გამოქვეყნებულ პოლიტიკური მოღვაწის კარიკატურაში დაინახა მწვავე პოლემიკური კამათის ფარგლების გადაჭარბებით განხორციელებული შელახვა შტრაუსის ღირსებისა და პიროვნული უფლებისა.<sup>32</sup>

გერმანიისაგან განსხვავებით, დაცვის განსაკუთრებული ხარისხით სარგებლობს შეურაცხყოფა და უხამსი კრიტიკა აშშ-ში, როგორც ზემოთ დავინახეთ. გერმანიაში ჩამოყალიბებული ურთიერთშედეარების პრინციპი და ინტერესთა ანონ-დანონვა ყურადღებას უთმობს ლეგიტიმურ მიზანს, რომელსაც კონკრეტული გამოსატვის ფორმა ემსახურება. ეს მიზანი აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში წარმოადგენს მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც გამოსატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტებს აწესებს. აქ ისევ და ისევ პლურალისტული საზოგადოებისა და თავისუფალი აზრის იდეამდე მივდივართ, რომლის ჩამოყალიბებაში ფუნდამენტურ როლს კვლავ ის საშუალებები თამაშობს, რომლებზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა და რომელთა თავისუფლების მნიშვნელობას ხაზს უსვამს არა მხოლოდ აშშ-ის უზენაესი სასამართლო და ევროსასამართლო, არამედ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც.

<sup>31</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, 228.

<sup>32</sup> იქვე, 229.

მსგავსი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული ევროსასამართლოს საქმეებში *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*<sup>33</sup> და *ობერ-შლიკი ავსტრიის წინააღმდეგ*<sup>34</sup>. ამ საქმეებში ევროსასამართლო ისევ და ისევ ხაზს უსვამს პრესის თავისუფლების ფუნდამენტურ აუცილებლობასა და მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

#### IV. ღირსების უფლება და მისი არსი

როგორც არაერთხელ აღვნიშნე და გავუსვით ხაზი, გამოსატვის თავისუფლება ხშირად კოლიზიაში მოდის ისეთ მნიშვნელოვან უფლებასთან, როგორცაა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა. ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლითაა დაცული და ითვალისწინებს სახელმწიფოს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ვალდებულებებს.

ადამიანის ღირსება მჭიდროდ უკავშირდება სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. სწორედ ადამიანის ღირსებაში ძვეს უფლებათა ლეგიტიმურობის საფუძველი.<sup>35</sup> ის მოიცავს არა მხოლოდ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის და სასჯელის აკრძალვას, არამედ ადამიანის უფლებას, გააჩნდეს სხვა ძირითადი უფლებები, როგორებიცაა სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა, თანასწორობა, პიროვნების თავისუფლების განვითარება, რწმენის, აღმსარებლობის, სინდისის, აზრის თავისუფლება და სხვა მრავალი ურთიერთდაკავშირებული უფლება.

ღირსების საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება არ არსებობს,<sup>36</sup> ის ადამიანის უმთავრესი ღირებულებათა და ინდივიდუალურადაა აღქმადი. ამ ღირებულებით დაბადებიდანვე აღჭურვილია უკლებლივ ყველა ადამიანი, განურჩევლად დამახასიათებელი

---

<sup>33</sup> გამოსატვის თავისუფლება, I ტ., გამოსატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თბილისი, 2005, 292.

<sup>34</sup> იქვე, 285.

<sup>35</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 107.

<sup>36</sup> იქვე, 108.

ნიშნისა. კონსტიტუციის ამ მუხლის არსი იმაში მდგომარეობას, რომ ამ ნორმის შესაბამისად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსგან.<sup>37</sup>

ჩვენთვის საინტერესოა იმისი გარკვევა, რას გულისხმობს თავად ღირსების „ხელშეუვალობა“ და როგორი დაცვის სტანდარტია მისთვის დაწესებული. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც.<sup>38</sup> ღირსების ხელყოფა, ფაქტობრივად, ყოველთვის სხვა ძირითადი უფლებების დარღვევას უკავშირდება, გამომდინარე იქიდან, რომ ის არის უფლება და, „ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები.“<sup>39</sup>

იმისათვის, რათა უკეთ შევეცადოთ ღირსების არსის გაგებას, აუცილებელია, განვასხვავოთ და გავმიჯნოთ ის ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი გაგებისა და ადამიანის პატივისაგან. ერთი შეხედვით იდენტურ პატივის უფლებას სინამდვილეში ადამიანის ღირსება მნიშვნელოვნად აღემატება. ადამიანის ღირსების დაცვის კონსტიტუციური მასშტაბი არსებითად განსხვავებული და გაცილებით ფართოა ღირსების უფლების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ფარგლებთან შედარებით.<sup>40</sup> რაც შეეხება

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მიაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მიაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

<sup>40</sup> იქვე.

პატივს, პატივი გულისხმობს საზოგადოების მხრიდან ადამიანის მორალური თუ სხვა კრიტერიუმებით შეფასებას, საზოგადოების თვალში ადამიანის რეპუტაციის დაცვას.<sup>41</sup> მისი დაცულობის სტანდარტი განსხვავდება ღირსების დაცულობის სტანდარტისაგან, რაზეთ ქვემოთაც მექნება მსჯელობა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ უფლების დაცვის სტანდარტი გამოხატვის თავისუფლებასთან კოლიზიის დროს, რასაც საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და სასამართლოებში განვითარებული პრაქტიკის განხილვასთან მივყავართ.

## **V. საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოთა პრაქტიკა**

საქართველოში გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, როგორც თემის დასაწყისში ვისაუბრე, აწერს რიგებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, რომლითაც დადგენილია მკაცრი წინაპირობები ამ უფლების შეზღუდვისთვის.<sup>42</sup>

საინტერესოა კანონის რეგულირება ასევე ცილისწამებასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც დგება დგება სამოქალაქო პასუხისმგებლობა. განსხვავებული სტანდარტებია საჯარო და კერძო პირის ცილისწამებაზე პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის. პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.<sup>43</sup> რაც შეეხება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას საჯარო პირის ცილისწამებისათვის, ეს გათვალისწინებულია იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხა-

---

<sup>41</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 114.

<sup>42</sup> იხ., საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 7-8.

<sup>43</sup> იქვე, მუხლი 13.

დება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ (ამ განცხადებით კი მოსარჩელეს ზიანი მიადგა) და გაცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.<sup>44</sup>

ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკა. საინტერესოა, ვახსენო საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, სადაც მოსარჩელე ითხოვდა კანონის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის თანახმად შეუძლებელი იყო, გარდაცვლილი პირის მაგივრად მის ნათესავებს შეეტანად სარჩელი ცილისწამების თაობაზე.<sup>45</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა და იმსჯელა უფლებების პერსონიფიცირებულ ხასიათზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ის ეკუთვნის კონკრეტულ ინდივიდს და მისით ვერ ისარგებლებს სხვა. შესაბამისად, შეუძლებელია, ერთის უფლება დაერღვეს მეორეს. ნებისმიერ ადამიანს, როგორც კონსტიტუციური უფლებების სუბიექტს, შესაძლებლობა აქვს, დაიცვას საკუთარი უფლებები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. აქ გამონაკლისი, ცხადია, არც პირის სახელის, რეპუტაციისა და პატივის ცილისწამებისაგან დაცვის უფლებაა. ამ ეტაპზე კი ყურადღება უნდა მოვაქციოთ „სტიყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონსა და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომლის თანახმადაც, პირი ცილისწამების პოტენციურ მსხვერპლად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია შემდეგი პირობების კუმულაცია: ა) უნდა მოხდეს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება; ბ) ეს განცხადება უნდა იყოს კონკრეტული პირისთვის ზიანის მიმყენებელი და მისი სახელის გამტეხი.<sup>46</sup>

რამდენადაა შესაძლებელი ხსენებული პირობების დაკმაყოფილება გარდაცვლილი პირის შემთხვევაში, როდესაც ის ეფუძ-

<sup>44</sup> იქვე, მუხლი 14.

<sup>45</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>46</sup> იქვე.

ნება სუბიექტურ აღქმას და ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ პირის ინტერესს წარმოადგენს, რომლის უფლების დარღვევაზეც იწყება დავა? ცხადია, ეს შეუძლებელია, რამეთუ, პირველ რიგში, გარდაცვლილ პირს ობიექტურად არ აქვს იმისი შესაძლებლობა, იმსჯელოს დარღვეულ უფლებასა და ზიანზე, ხოლო, მეორე მხრივ, ერთი და იგივე შემთხვევა ყველა პიროვნების მიერ განსხვავებულად შეიძლება იყოს აღქმული. ადამიანები ხომ „ინდივიდუალურად და სუბიექტურად, მათ შორის, მათი პირადი თვისებების, ხასიათის, ინტელექტისა და ემოციური მდგომარეობის მიხედვით აღიქვამენ და აფასებენ ფაქტებს, მოვლენებს.“<sup>47</sup> მაშასადამე, აბსურდულიც კი არის გარდაცვლილი ადამიანის რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებით სასამართლოში დავა, როდესაც, შესაძლებელია, მას თავის სიცოცხლეში მსგავსი საკითხი სადავო არც კი გაეხადა.

აღსანიშნავია, რომ დავის მიმდინარეობისას კანონში 2014 წლის 2 ოქტომბერს შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად ცილისწამების თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია პირს, რომელსაც საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი.<sup>48</sup>

სიტყვისა და აზრის თავისუფლებასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული უზენაეს სასამართლოს. განხილული სამოქალაქო საქმე ეხება ა. ფ-ის სარჩელს, რომლითაც მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება იმ საფუძვლით, რომ მოპასუხემ გაზეთში მის შესახებ გამოაქვეყნა ცილისმწამებლური წერილი, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.<sup>49</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს და შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ

---

<sup>47</sup> იქვე.

<sup>48</sup> საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 4<sup>1</sup>.

<sup>49</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის №ას-1278-1298-2011 გადაწყვეტილება საქმეზე, „ა.ფ-ი შპს გაზეთი „ა-ის“ წინააღმდეგ“.

დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციისა და „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა შპს გაზეთ „ასავალ-დასავალის“ სარჩელი. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ცილისწამების განსაზღვრისათვის აუცილებელი პირობაა ფაქტისა და მოსაზრების (აზრის) გამიჯვნა, ვინაიდან „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და, შესაბამისად, შეფასებითი მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად.<sup>50</sup>

განსახილველ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო წერილში მითითებული გამონათქვამები მხოლოდ მისი ავტორის მოსაზრებების გავრცელებას ემსახურებოდა, რომელიც ასახავდა ამ უკანასკნელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ და არ შეიცავდა კონკრეტული ფაქტების მტკიცებას. უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ, როდესაც კერძო პირები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში და მონაწილეობას იღებენ ამ საკითხების საჯარო განხილვაში პრესისა თუ მასმედიის სხვა საშუალებებით, კრიტიკისადმი მათ მეტი მოთმინება მოეთხოვებათ. ამიტომ, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატებში მონაწილეობის დროს კერძო პირის მიმართ შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენება, შესაძლებელია, არ იქნეს მიჩნეული ცილისწამებად. განსახილველ საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან მოსარჩელე მოღვაწეობდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში და მონაწილეობას იღებდა ამ საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიებში, ამიტომ მას კრიტიკისადმი მეტი მოთმინება მოეთხოვებოდა.<sup>51</sup>

---

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> იქვე.

როგორც ვიცით, საქართველოში ზოგიერთი პოლტიკოსისგანაც ყოფილა მოწოდება ცილისწამების და შეურაცხყოფის კრიმინალიზების შესახებ, რადგან, მათი აზრით, არსებული რეგულირება ჯეროვნად ვერ იცავს ადამიანის ღირსებას. თუმცა ცილისწამების კრიმინალიზება ისეთ სახელმწიფოში, სადაც ჯერ კიდევ განვითარებადი დემოკრატიაა, არსებობს რისკი ამ ნორმის ბოროტად გამოყენებისა, თუნდაც, პოლიტიკური ნიშნით. ამასთანავე, რამდენადაც მაღალი გამოხატვის დაცულობის სტანდარტი, განსაკუთრებით, პრესასთან მიმართებით, შესაძლებელია, პრესასა და საზოგადოებაში გაჩენილიყო შიში აზრის თავისუფლად გამოხატვასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად შელახავდა მოცემული უფლების არსს. ღირსების უფლების დასაცავად კი, მოგეხსენებათ, კანონმდებლობა გვაძლევს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას, რაც, ვთვლი, სრულიად საკმარისია.

## VI. დასკვნა

გამომდინარე იქიდან, რომ გამოხატვის თავისუფლება თავისუფალი აზრის არსებობის უპირველესი პირობა და ადამიანის, როგორც საზოგადოების ნაწილის, განვითარების აუცილებელი საფუძველია, ის დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციურ, განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს. დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისთავად არსებითი მნიშვნელობისაა შეხედულებათა მრავალფეროვნების, პლურალიზმის არსებობა. ამ პრინციპის მიღწევა კი შეუძლებელია თავისუფალი აზრის გარეშე.

განვიხილეთ გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტი როგორც საქართველოს, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში განვითარებულ პრაქტიკაში. კვლევამ დაგვანახა ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სიახლოვე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან, რომელშიც დადგენილი სტანდარტი აზრს აბსოლუტური დაცვის პრივილეგიას ანიჭებს. ეს კი, როგორც აღვნიშნე, გულისხმობს პიროვნების სრულ გათავისუფლებას კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გამოხატვის თავისუფლების სპეციფიკურ

ბუნებას, რამდენადაც ის დაკავშირებულია პირის სუბიექტურ დამოკიდებულებასთან გამონათქვამის საგნის მიმართ.

აშშ-ში დამკვიდრებული სტანდარტი გამოხატვის თავისუფლების დაცვის საუკეთესო მექანიზმად აღიარებული. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, დაცვის სტანდარტი განსაკუთრებით მაღალია პრესასა და საზოგადოებრივ ინტერესთან მიმართებაში, რამეთუ დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითად საფუძველს თავისუფალი, გაუფილტრავი ინფორმაცია ქმნის.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპული პრაქტიკის ურთიერთშედარება გვაჩვენებს, რომ ამერიკაში განვითარებულ სტანდარტს უახლოვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. აღნიშნული დაკავშირებულია ისევე და ისევე პრესასა და თავისუფალ ინფორმაციასთან. ამასთან ერთად, განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობს რადიომაუწყებლობაც. თუმცა, განსხვავებით აშშ-ში განვითარებული „აბსოლუტური პრივილეგიის“ სტანდარტისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა მიმართავს განსხვავებულ ინტერესთა ურთიერთშეპირისპირებისა და შედარების გზას. როგორც დავინახეთ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისათვის დამახასიათებელია ამ სასწორის ღირსებისა და პიროვნული უფლების სასარგებლოდ გადაწევა, რა დროსაც ყურადღება ეთმობა კონკრეტული გამოხატვის ფორმის ლეგიტიმურ მიზანს.

იქიდან გამომდინარე, რომ ლეგიტიმური მიზანი ამ შემთხვევაში არის საზოგადოებრივი ინტერესი, ცხადია, მეტად რთულია, ცალსახა პასუხი გავცეთ ორი ძირითადი უფლების შეპირისპირების შედეგად წარმოშობილ კონფლიქტს. მივესალმები საქართველოში განვითარებად პრაქტიკას, რომელიც ცდილობს, დაუახლოვდეს ამერიკის შეერთებული შტატებში დაცულ სტანდარტს. აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი, როგორც განვითარებადი დემოკრატიული სახელმწიფოს, სასამართლო პრაქტიკის დახვეწისათვის ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

და ბოლოს, სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტირება იმასთან დაკავშირებით, რომ აზრის გამოხატვა აბსოლუტურად

## სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

დაცულია, ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს პლურალისტული, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, განვითარებისა და სრულყოფისათვის. ყოველი სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს სწორედ ისეთი რეჟიმის დამკვიდრებისაკენ, სადაც ინდივიდს არ ექნება განცდა, რომ თავისი სუბიექტური დამოკიდებულების გამო მის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებში ჩარევა მოხდება. ადამიანი არის სახელმწიფოს უპირველესი მიზანი, ხოლო მისი თავისუფლება – ჯანსაღი, თავისუფალი, დემოკრატიული გარემოს არსებობის უპირობო საფუძველი.

**ერთ-ერთი სოლიდარული თავდაობის  
თავდაობისგან გათავისუფლების სამართლებრივი  
შედეგი სხვა სოლიდარული თავდაობისათვის**

**I. შესავალი**

თავდაობა ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებაა და მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გავრცელებული პიროვნული საშუალება, მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნვის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის. თავდაობის ინსტიტუტი, სულ მცირე, „4500 წლისა და მნიშვნელოვანია საკრედიტო გარიგებებისთვის, იგი კრედიტორს აძლევს საშუალებას დაეყრდნოს არა ერთს, არამედ რამდენიმე პიროვნებას, რაც მთავარი მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ გადახდისუუნარობის რისკს ამცირებს“.<sup>1</sup>

თავდაობის ინსტიტუტს მიმართავენ ფინანსური დაწესებულებები, როგორებიცაა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სხვ. როგორც წესი ფინანსური დაწესებულებები იყენებენ სოლიდარულ თავდაობას, რაც უფრო მეტ გარანტიას იძლევა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

სოლიდარული თავდაობა მოთხოვნის უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებული პიროვნული საშუალებაა საქართველოში. განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც ვალდებულების უზრუნველსაყოფად გვყავს რამდენიმე თავდაობი, ე.წ. თანათავდაობები, რომლებიც ძირითად მოვალესთან სოლიდარული თავდაობის პასუხისმგებლობითა არიან დაკავშირებულნი. ამ დროს მნიშვნელოვანი საკითხია ის სამართლებრივი ურთიერთობა

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი.

<sup>1</sup> Slovenko R., Effects of Suretyship, The American Journal of Comparative Law, Vol.9, No.1, 1960, 48.

და კავშირი, რასაც თავდებობის ინსტიტუტი, კერძოდ, სოლიდარული თავდებობა წარმოშობს.

სტატიაში მსურს, განვიხილო სოლიდარული თავდებობის შეწყვეტის ერთ-ერთი პირობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 450-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, როდესაც ერთ-ერთი თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც.

აღნიშნული საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- სოლიდარული თავდებები უნდა განვიხილოთ თუ არა, როგორც სოლიდარული მოვალეები?
- უნდა გავრცელდეს თუ არა მათზე სსკ-ში დადგენილი სოლიდარული მოვალეების სამართლებრივი მოწესრიგება?
- რა სამართლებრივ შედეგს იწვევს კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული თავდების თავდებობისგან გათავისუფლება სხვა სოლიდარული თავდებებისთვის?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვმარტავ თავდებობის ცნებას, სოლიდარული თავდებობის არსსა და ფუნქციას, განვიხილავ სოლიდარულ მოვალეებსა და სოლიდარულ თავდებებს, მათ შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს, და გავაანალიზებ სსკ-ის 450(3) მუხლის შინაარსს.

## II. სოლიდარული თავდებობა

### 1. სოლიდარული თავდებობის არსი

თავდებობა არის პირადი პასუხისმგებლობის ფორმა.<sup>2</sup> თავდებობის ხელშეკრულება იდება წერილობით ორ მხარეს – თავდებსა და კრედიტორს – შორის და მასში არ მონაწილეობს მოვალე, თუმცა თავდებობის შინაარსს წარმოადგენს სწორედ მოვალის, ანუ მესამე პირის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულების

---

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება №ას-1172-2018, პარ. 86.

პიროვნული უზრუნველყოფა.<sup>3</sup> თავდებობით თავდები თვითონ კი არ კისრულობს მოვალის ვალდებულების შესრულებას, არამედ თავდებად უდგება კრედიტორს, რომ მოვალე შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.<sup>4</sup>

თავდებობის ნამდვილობისთვის საჭიროა თავდების ნერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება,<sup>5</sup> რადგან თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე.<sup>6</sup>

სამოქალაქო სამართალში, განსხვავებით საერთო სამართლისგან, მოვალე და თავდები განსხვავებული კლასის მოვალეები არიან, პირველი არის ძირითადი (პირველადი) და უმთავრესი მოვალე, ხოლო თავდები – მეორეული.<sup>7</sup> განსხვავდება სოლიდარული თავდებობის მონესრიგებაც, სამოქალაქო სამართალი მას განიხილავს, როგორც სოლიდარულ მოვალეობას; თუმცა თავდებობის სუბროგაციის ეფექტი ინარჩუნებს საკუთარ ფუნქციას სოლიდარული თავდებობის შემთხვევაშიც<sup>8</sup>, კერძოდ, როდესაც თავდები დაფარავს ვალდებულებას, ამ შემთხვევაში თავდაპირველი მოვალის ვალდებულება არ წყდება, არამედ თავდაპირველ კრედიტორს, რომლის მიმართაც ვალდებულება შესრულდა, ჩაანაცვლებს ახალი კრედიტორი – თავდები<sup>9</sup>.

თავდებობის ხელშეკრულების ნიშანი, ასევე, მისი აქცესორული ბუნებაა, რაც ძირითად ვალდებულებაზე დამოკიდებულებას ნიშნავს<sup>10</sup>. თავდების მიმართ კრედიტორის მოთხოვნის არსებობა

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, 183.

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 892, ნაწ. 1.

<sup>6</sup> იქვე, მუხლი 898, ნაწ. 1.

<sup>7</sup> Slovenko R., *Effects of Suretyship*, *The American Journal of Comparative Law*, Vol.9, No.1, 1960, 51.

<sup>8</sup> იქვე, 52.

<sup>9</sup> იქვე, 60.

<sup>10</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 153, ნაწ. 1.

დაკავშირებულია ძირითადი ვალდებულების არსებობასთან. შეუძლებელია თავდებობის უფლების დაგირავება, ან სხვისთვის გადაცემა. ახალი კრედიტორისათვის ძირითადი ვალის გადაცემით მასზე გადადის უზრუნველყოფის საშუალება.<sup>11</sup> მაგალითად, ბანკმა ერთმა იყიდა ბანკი ორის საცალო სესხების პაკეტი, ამ შემთხვევაში ის თავდებობები, რომლებიც უზრუნველყოფდა ბანკი ორის საცალო სესხებს გადავა ბანკ ერთზე.

## 2. სოლიდარული თავდებობის ფუნქცია

საქართველოში იშვიათია ისეთი თავდებობის პოვნა, რომელიც სუბსიდიურ ხასიათს ატარებდეს. საფინანსო დანესებულებები მიმართავენ სოლიდარულ თავდებობის ფორმას, რაც მათ მეტ გარანტიას აძლევს მოთხოვნის დაკმაყოფილების კუთხით, რადგან კრედიტორს ამ შემთხვევაში პირდაპირ ეძლევა უფლება საკუთარი მოთხოვნა თავდებისგან დაიკმაყოფილოს ძირითადი მოვალისთვის იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.<sup>12</sup>

სოლიდარული თავდებობა კრედიტორისთვის მოსახერხებელი ინსტიტუტია, ის მას აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს იმ შემთხვევაშიც, თუ ძირითადი მოვალე უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობის შესახებ გახდა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი თავდებისგან მოითხოვს იმ ვალდებულების შესრულებას, რაც ძირითად მოვალეს უნდა შეესრულებინა და ამისთვის მას დამატებითი ბიუროკრატიული თუ სამართლებრივი ქმედების განხორციელება არ სჭირდება. სოლიდარული თავდები „უარს ამბობს წინასწარ ჩივილის შესაგებებლზე და კრედიტორს შეუძლია პირდაპირ თავდებს მოსთხოვოს გადახდა“.<sup>13</sup> სოლიდარული თავდებობის

---

<sup>11</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, 183.

<sup>12</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 895.

<sup>13</sup> <[59](http://www.gccc.ge/ნიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-ი-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxii-თავდებობა/მუხლი-895/-დან> [12.05.2021]</a></p></div><div data-bbox=)

დროს აღსრულების რიგითობას ადგილი არ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, მიუხედავად სანივთო სამართლებრივი უზრუნველყოფებისა, კრედიტორმა აღსრულება პირდაპირ სოლიდარული თავდებისაგან დაიწყოს<sup>14</sup>.

### III. სოლიდარული მოვალეები და სოლიდარული თავდებები – განსხვავებები და მსგავსებები

სოლიდარულ თავდებებსა და სოლიდარულ მოვალეებს ხშირად სინონიმებად განიხილავენ. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებში მიუთითა კიდევ, რომ „გამომდინარე, იქიდან, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებს სოლიდარულ თავდებობას აღნიშნული უნდა მოექცეს სოლიდარული მოვალეების ინსტიტუტის მონესრიგების ქვეშ“.<sup>15</sup> თუმცა, „სოლიდარული ვალდებულებისა და თავდებობის წარმოშობის საფუძვლები სხვადასხვაა“.<sup>16</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს ადგენს სსკ-ის 464-ე მუხლი, ხოლო სოლიდარული თავდებობისას კოდექსის 895-ე მუხლი. სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით,<sup>17</sup> ხოლო სოლიდარული თავდებობა წარმოიშობა, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით.<sup>18</sup>

ანტუან ჰონტებერიმ, საკუთარ ნაშრომებში, ნათელი მოჰფინა სოლიდარული ვალდებულების ძირითად სტრუქტურას. ის აღწერს ორ დაპირისპირებულ პერსპექტივას, რომელიც წარმოიშობა ერთზე მეტი მოვალის არსებობისას. ჰონტებერი განმარტავს მათ,

<sup>14</sup> მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები: თეორია და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2020, 46.

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება № ას-164-158-2011.

<sup>16</sup> ნინოშვილი ა., თავდებობა და საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, თბილისი, 2019, 32.

<sup>17</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 464.

<sup>18</sup> იქვე, მუხლი 895, 1-ლი წინადადება.

როგორც „გარე“ და „შიდა“ პერსპექტივას (ურთიერთობა<sup>19</sup>). „გარე“ ურთიერთობა დომინირებს სოლიდარული ვალდებულების არსებობისას მაშინ, როცა „შიდა“/“მოვალისმიერი“ პერსპექტივა ბატონობს ნილობრივი ვალდებულებებისას. ეს ურთიერთობები არსებობს მაშინაც, როდესაც მრავალი მოვალე გვყავს, არიან ისინი ნილობრივად თუ სოლიდარულად მონაწილე ვალდებულებაში. „გარე“ პერსპექტივისას, აღნიშნავს ჰონტებერი, კრედიტორს აქვს უფლება მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს. „გარე“ პერსპექტივის მიხედვით, როგორ გაინაწილებენ მოვალეები ვალდებულების სიმძიმეს, შიდამოგვარების საკითხია. „შიდა“ პერსპექტივის მიხედვით, მოვალეები ვალდებულების შესრულებაში მონაწილეობენ საკუთარი წილის მიხედვით. ჰონტებერი და სხვები აღნიშნავენ, რომ სოლიდარული ვალდებულება არის „ბუნებრივი მდგომარეობა“, როდესაც ვალდებულების მხარე ერთზე მეტი პირია.<sup>20</sup>

როგორც წილადი, ასევე სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში ვალდებულების არსიდან ნათლად გამომდინარეობს ნილობრივად, ანდა სოლიდარულად მონაწილე თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობათა ოდენობა „გარე“ ურთიერთობაში. განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე ვალდებულებაში მონაწილე ამ რამდენიმე სუბიექტის „შიდა“ ურთიერთობასთან დაკავშირებით. „გარე“ ურთიერთობაში ნილობრივი, ან სოლიდარული უფლებამოსილება თუ ვალდებულება იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ როგორ აქვთ მონესრიგებული „შიდა“ ურთიერთობები ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს. შესაბამისად, შესაძლებელია ვალდებულებაში სოლიდარულად, ანდა ნილობრივად მონაწილე პირებს „შიდა“ ურთიერთობა სრულიად განსხვავებულად ჰქონდეთ დარეგულირებული. „შიდა“ ურთიერთობა მხოლოდ „გარე“ ურთიერთობის შეწყვეტის

---

<sup>19</sup> შიდა და გარე პერსპექტივებს მ. კუმინი უწოდებს კრედიტორისმიერ და მოვალისმიერ პერსპექტივებს. უკეთ გაგებისთვის მათ ვუწოდოთ შიდა და გარე ურთიერთობა.

<sup>20</sup> Cumyn M., Responsibility for Another's Debt: Suretyship, Solidarity, and Imperfect Delegation, *McGill Law Journal*, Vol.55, No.2, 2010, 217-221.

შემდეგ ხდება აქტუალური. სწორედ „შიდა“ ურთიერთობებით დადგენილი წილი განსაზღვრავს იმას, თუ საბოლოოდ ვინ რა ოდენობითაა ვალდებული შესრულებაზე პასუხისმგებელი, ანდა მის მიღებაზე უფლებამოსილი.<sup>21</sup>

სოლიდარული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელშიც მონაწილეობს ერთზე მეტი პირი და „გარე“ ურთიერთობა დომინანტურია „შიდა“ ურთიერთობაზე.<sup>22</sup> სოლიდარულ მოვალეობის დროს რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეული ღებულობს მონაწილეობას მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება.<sup>23</sup>

თავდების ვალდებულების ასახსნელად სამოქალაქო სამართლის ტრადიცია იყენებს ვალდებულების დუალისტურ კონცეფციას, რომელიც გერმანული მეცნიერების შემუშავებულია. დუალისტური კონცეფციის თანახმად, ვალდებულებას ორი ასპექტი აქვს: ვალი და პასუხისმგებლობა ვალისთვის. როდესაც მოვალე საკუთარი ნებით ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, პასუხისმგებლობა ვალისთვის არ გამოიყენება. პასუხისმგებლობა ვალისთვის გულისხმობს, რომ პიროვნება, ანდა საგანია პასუხისმგებელი მოთხოვნის შესრულებისთვის მაშინ, როდესაც მოთხოვნა არ სრულდება. შესაბამისად, იმ პირის ანდა საგნის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია ვალისთვის, გამოიყენება სანქციები, რათა დაკმაყოფილდეს კრედიტორის მოთხოვნა, ამიტომაც ხანდახან რთულია განასხვავო ერთმანეთისგან ვალი და პასუხისმგებლობა ვალისთვის, როგორც ვალდებულების ორი ასპექტი.<sup>24</sup> ზემოთ თქმულის შეჯერებით, თავდებობა არის ვალდებულების ასპექტი, კერძოდ, პასუხისმგებლობა ვალისთვის, ხოლო თავდები

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება Nას-1172-2018, პარ. 47.

<sup>22</sup> Cumyn M., Responsibility for Another's Debt: Suretyship, Solidarity, and Imperfect Delegation, *McGill Law Journal*, Vol.55, No.2, 2010, 222.

<sup>23</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 463.

<sup>24</sup> Cumyn M., Responsibility for Another's Debt: Suretyship, Solidarity, and Imperfect Delegation, *McGill Law Journal*, Vol.55, No.2, 2010, 227-228.

კი არის პასუხისმგებელი პირი და არა „უშუალო“ მოვალე, კერძოდ, თავდები არის ის პიროვნება, რომელიც პასუხისმგებელია იმ ვალისთვის, რომელსაც მოვალე ვერ, ანდა არ ასრულებს. სოლიდარული თავდების პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა, ასეთ შემთხვევაში მას შეიძლება კრედიტორის მიერ წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.<sup>25</sup> მაგალითად, განვიხილოთ საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, როდესაც სოლიდარულ მოვალეებს წარმოადგენენ თანამსესხებლები, ხოლო სესხს უზრუნველსაყოფად გამოყენებულია თავდებობა. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება თანამსესხებლებმა დაარღვიეს, თავდები მაშინ ხდება პასუხისმგებელი ვალისთვის, როდესაც კრედიტორი ძირითად მოვალეს მოთხოვს ვალდებულების შესრულებას და ისინი არ, ანდა ვერ შეასრულებენ მას. ეს ის ასპექტია, რითიც თავდები განსხვავდება თანამსესხებლისგან იმდენად, რამდენადაც თანამსესხებელი უშუალოდაა ვალდებული შეასრულოს სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თავდები კი მას შემდეგ, როდესაც კრედიტორის მიმართ ძირითადი მოვალე/მოვალეების მხრიდან ვალის გადახდის არ/ვერსრულდება.

შესაბამისად, სოლიდარული თავდებები და სოლიდარული მოვალეები სინონიმებად ვერ ჩაითვლებიან; სოლიდარული თავდებობის ინსტიტუტი კანონმდებელმა დაანესა, რადგან „კრედიტორს შესაძლებლობა ჰქონოდა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა თავდებისაგან ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარების გარეშე“.<sup>26</sup> სოლიდარული თავდებობისას აქცეუსორული ბმა სუსტადაა გამოკვეთილი, თითქოსდა ძირითადი მოვალე და ვალზე პასუხისმგებელი პირი ერთი და იმავე ქრილში უნდა განიხილებოდეს, მაგრამ გარდა იმისა, რომ სოლიდარული თავდებობა ამარტივებს კრედიტორისთვის მოთხოვნის დაკმა-

<sup>25</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 895.

<sup>26</sup> ნინოშვილი ა., თავდებობა და საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, თბილისი, 2019, 33.

ყოფილების შესაძლებლობას, ამის „მიღმა თავდების ვალდებულების აქცესორული ხასიათი ძალაში რჩება. თავდები და ძირითადი მოვალე მაინც არ ითვლებიან სოლიდარულ მოვალეებად 473-ე მუხლის გაგებით“.<sup>27</sup>

ლადო ჭანტურია საკუთარ წიგნში – „კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი“ აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალე და თავდები სხვადასხვა პირებად უნდა განიხილებოდეს, რადგან მოვალე ისედაც აგებს პასუხს მთელი თავისი ქონებით.<sup>28</sup> მეტიც, სოლიდარული ვალდებულება გულისხმობს მრავალ მოვალეს, რომლებიც იზიარებენ საერთო ვალს, ხოლო თავდები პასუხისმგებელია იმ ვალისთვის, რომელიც მისი არ არის. თავდებს თანამოვალისგან განსხვავებით შეუძლია მიმართოს დაცვის ყველა საშუალებას, რაც ძირითად მოვალეს აქვს, ასევე თავდები არ არის ძირითადი ვალდებულების მხარე.<sup>29</sup>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი მოვალეთა სიმრავლედ (სოლიდარულ მოვალეებს) მიიჩნევს ისეთ პირებს, რომლებმაც ერთი და იგივე ვალდებულება იკისრეს კრედიტორის წინაშე (როგორც სოლიდარულად, ასევე წილობრივად) ერთი და იგივე ხელშეკრულებით, ანდა როდესაც პასუხისმგებელი არიან ერთი და იმავე ზიანისთვის, თუ ხელშეკრულება ან/და კანონი არ ითვალისწინებს სხვაგვარად.<sup>30</sup>

განვიხილოთ მაგალითი: ბანკმა გასცა საბანკო კრედიტი ნინოსა და ნანაზე. ნინო და ნანა ამ შემთხვევაში თანამსესხებლები არიან და კანონის თანახმად, თანამოვალეებიც (სოლიდარული მოვალეები). კრედიტი უზრუნველყოფილია თავდებობით. ბანკმა განუსაზღვრა ძირითად მოვალეს ნინოს დამატებითი პირობა, რაც მას შესასრულებელი აქვს კრედიტის გაცემის შემდეგ. ვთქვათ,

<sup>27</sup> <<http://www.gccc.ge/ნიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xxii-თავდებობა/მუხლი-895-დან>> [12.05.2021]

<sup>28</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, 186.

<sup>29</sup> Cumyn M., Responsibility for Another's Debt: Suretyship, Solidarity, and Imperfect Delegation, *McGill Law Journal*, Vol.55, No.2, 2010, 230.

<sup>30</sup> <[https://www.trans-lex.org/936600/\\_/plurality-of-debtors/](https://www.trans-lex.org/936600/_/plurality-of-debtors/)> [12.02.2021]

ნინომ უნდა წარუდგინოს ბანკს ცნობა სხვა მომსახურე ბანკისგან დავალიანების არქონის შესახებ. ასევე განუსაზღვრა დამატებითი პირობა ნანას, კერძოდ, მან უნდა წარმოადგინოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომ იპოთეკით დაიფვირთა ქონება. მოცემულ მაგალითში, თანამოვალეები, ნანა და ნინო, საკრედიტო ხელშეკრულების დადებით ერთად იღებენ ვალდებულებას აღნიშნული პირობების შესასრულებლად, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილი იქნება მათ მიმართ გამოიყენოს ის მექანიზმები, რაც ნანასა და ნინოს აიძულებს შეასრულოს ბანკისთვის მიცემული პირობა. ამ ხელშეკრულებასთან თავდებობის ხელშეკრულება კავშირში არ არის. პირიქით, ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი ვერ მოთხოვს თავდებს სოლიდარული მოვალეების მიერ ნაკისრი ვალდებულება, ცნობისა და ამონაწერის წარმოდგენა, შეასრულოს თავდებმა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავდები ვერ ჩაითვლება სოლიდარულ მოვალედ, რადგან შეუძლებელია სოლიდარული მოვალეთაგან ერთს ჰქონდეს ერთი ვალდებულება ნაკისრი, ხოლო მეორეს მეორე ვალდებულება, რომელიც არ გამომდინარეობს ერთი და იმავე ხელშეკრულებიდან, ერთსა და იმავე კრედიტორის წინაშე. აქვე აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი გამოიყენებს საკუთარ უფლებას და შეწყვეტს ხელშეკრულებას, რადგან თანამსესხებლებმა მათზე დაკისრებული ვალდებულება ვერ შეასრულეს, ხოლო მოვალეები ვერ გადაიხდიან ვალს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლება ბანკს მოსთხოვოს თავდებს ძირითადი მოვალეების ვალდებულების შესრულება იმ მოცულობით, როგორც ეს განერილი იქნება თავდებობის ხელშეკრულებით.

#### **IV. სსკ-ის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი – მისი**

#### **მნიშვნელობა, განმარტება და იურიდიული შედეგი**

#### **1. სოლიდარული თავდების პასუხისმგებლობის საკითხი**

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა სოლიდარული თავდებობისას ერთ-ერთი თავდების გათავისუფლების საკითხთან მიმართებაში, კერძოდ, თუ რა შედეგს

ინვეს კრედიტორის ეს ქმედება დანარჩენი სოლიდარული თავ-  
დებისთვის. აღნიშნული საკითხი მეტად საყურადღებოა, რადგან  
კრედიტორი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს თავდების თავდე-  
ბობისგან „ჩახსნას“.

სსკ-ის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილი განმარტავს, რომ „ერთ-ერთი  
თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს  
სხვა თავდებ პირებსაც“.

გიორგი სვანაძე აღნიშნავს, რომ სოლიდარული თავდებობა  
უნდა განიხილებოდეს სოლიდარული მოვალეების ჭრილში, გან-  
მარტავს რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 896-ე მუხლს,  
კერძოდ „თუ ერთი და იმავე ვალდებულების თავდები რამდენიმე  
პირია, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები,  
მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ“, გი-  
ორგი სვანაძე ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლს<sup>31</sup>,  
კერძოდ, „ვალის პატიების შედეგები სხვა სოლიდარული მოვალე-  
ებისათვის“ და თვლის, რომ „თუ ერთ-ერთი თავდები გაათა-  
ვისუფლა ვალის გადახდისაგან კრედიტორმა და ამავე დროს მან  
პირდაპირ მიუთითა, რომ იგი მხოლოდ ამ კონკრეტულ თავდებს  
ათავისუფლებს ვალის გადახდისაგან, ხოლო მეორე (ორი თავდე-  
ბის შემთხვევაში) ან სხვა დანარჩენ თავდებებთან მიმართებით  
იგი იტოვებს თავის მოთხოვნებს<sup>32</sup>, მაშინ მარტივი გასაკეთებელი  
არის დასკვნა იმის თაობაზე, რომ 450 მუხლის მესამე ნაწილის  
დანანესი აღარ მოქმედებს და, შედეგად, ყველა თავდები არ  
თავისუფლდება ვალის გადახდისაგან“.<sup>33</sup>

<sup>31</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 449. ვალის პატიება ერთ-  
ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ  
მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ  
მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი  
სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამო-  
იყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

<sup>32</sup> გიორგი სვანაძე სოლიდარულ თავდებს განიხილავს სოლიდარულ მო-  
ვალეებად და მათზე ავრცელებს სოლიდარული მოვალეების მომ-  
წესრიგებელ ნორმას, კერძოდ, 449-ე მუხლს.

<sup>33</sup> <<http://www.gccc.ge/>წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/კარი-მეექვსე/თავი-  
მეოთხე/მუხლი-450/-დან> [12.02.2021]

ქეთევან მესხიშვილი საკუთარ წიგნში იხმობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას და განმარტავს, რომ „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ ერთი სოლიდარული თავდებისათვის გულისხმობს, თუ არა, დანარჩენი სოლიდარულად მოვალე სუბიექტების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას. ამგვარი დასკვნა [კი] მხოლოდ კრედიტორის ნების კვლევის შედეგად უნდა დადგინდეს.“<sup>34</sup>

როგორც გიორგი სვანაძე, ასევე ქეთევან მესხიშვილი სოლიდარული თავდებების მიმართ უპირატესად მიიჩნევენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 769-ე მუხლი განმარტავს სოლიდარულ თავდებებს, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 896-ე მუხლშია განმარტებული. გსკ ამბობს, რომ „როდესაც ერთზე მეტი პირი კისრულობს თავდებობას ერთსა და იმავე ვალდებულებისთვის, ისინი ერთობლივად და სოლიდარულად არიან პასუხისმგებლები, მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთად არ უკისრიათ“.<sup>35</sup>

სსკ-ის 896-ე მუხლი უნდა მივიჩნიოთ თანათავდებობის მონესრიგების შემთხვევად, კერძოდ, როდესაც ერთზე მეტი პირი კისრულობს უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულებას სხვადასხვა დროს. თანათავდებები ძირითადი მოვალის მიმართ, „გარე“ ურთიერთობაში შეიძლება იყოს როგორც სუბსიდიური (მარტივი თავდებობა), ასევე სოლიდარული,<sup>36</sup> თუმცა „შიდა“ ურთიერთობაში ისინი სოლიდარულ თავდებებად გვევლინებიან. აღნიშნული მუხლი თავისთავად არ გულისხმობს, რომ ერთზე მეტი თავდების არსებობა თავის თავში გულისხმობს ძირითად მოვალესთან სოლიდარული პასუხისმგებლობას.

---

<sup>34</sup> მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები: თეორია და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2020, 40.

<sup>35</sup> <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_bgb/englisch\\_bgb.html#p0714](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p0714)>

<sup>36</sup> ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012, 191.

განვიხილოთ მაგალითი: ნინოს ვალდებულების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ნანა არის მისი სუბსიდიური თავდები, რომელმაც თავდებობა იკისრა ნინოს მიერ ვალდებულების აღებისას. რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგი შეუერთდა ნანას და გამოთქვა თანხმობა ნინოს ვალდებულებისთვის ყოფილიყო თავდები. სსკ-ის 896-ე მუხლის თანახმად ნანას და გიორგის პასუხისმგებლობა განიხილებიან ერთობლივად როგორც სოლიდარული მოვალეებისა, მაგრამ თუ გიორგის ნინოს კრედიტორთან დადებული ექნება მარტივი თავდებობის ხელშეკრულება, ის ვერაფრით ვერ განიხილება სოლიდარულ თავდებად ძირითადი მოვალის ვალდებულების მიართ; პირიქით, ნანა და გიორგი განიხილება როგორც ერთი ორგანიზმი ძირითადი მოვალის ვალდებულებისთვის, რათა კრედიტორს ჰქონდეს უფლება მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ერთ-ერთი თანათავდებისგან.

აღნიშნული საკითხი თითქოს ეხმიანება სოლიდარული მოვალის განმარტებას; ნანასა და გიორგის აქვთ დადებული ხელშეკრულება, მათ წინაშე არის ერთი კრედიტორი და ვალდებულებაც ერთი და იგივეა, თუმცა თავდებთა პასუხისმგებლობა, დუალისტური ტრადიციის თანახმად, არის პასუხისმგებლობა მესამე პირის ვალდებულებისთვის.

896-ე მუხლის დანაწესი კანონმდებელმა შემოიტანა, რათა კრედიტორს გამარტივებოდა თავდებებთან ურთიერთობა. კანონი არ ამბობს რომ თანათავდებები სოლიდარული მოვალეები არიან, არამედ ის მათ პასუხისმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ „პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები“. აღნიშნული მუხლი არ გულისხმობს, რომ სოლიდარული მოვალეების მომწესრიგებელი მუხლები უნდა გავრცელდეს სოლიდარულ თავდებებზე როგორც „გარე“, ასევე შიდა ურთიერთობებისას. მეტიც, 896-ე მუხლი მაშინ გახდება აქტუალური, როდესაც კრედიტორი მოითხოვს ვალდებულების დაკმაყოფილებას ერთ-ერთი თანათავდებისგან.

## 2. სოლიდარული თანათავდებისთვის ვალის გადახდევინების პატიების საკითხი

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2013 წლის გადაწყვეტილებით, ავითარებს მსჯელობას, რომ სოლიდარული თავდები უნდა განიხილებოდეს სოლიდარულ მოვალედ, კერძოდ, კრედიტორის „მიერ ერთ-ერთი სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, [ეს არ] წარმოადგენს ვალის პატიებას“<sup>37</sup>. უზენაესი სასამართლო მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლს და თვლის, რომ ერთ-ერთი სოლიდარული თავდების გათავისუფლება არ ათავისუფლებს სხვა თანათავდებსაც, თუ კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით<sup>38</sup>.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საყურადღებოა ბოლო წინადადება, როდესაც ის განმარტავს, რომ სოლიდარულ თავდებს ვალდებულების შესრულების ფარგლები უნდა შემცირდეს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით. უნდა აღინიშნოს, რომ სოლიდარული თავდებობა გულისხმობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას მესამე პირის ვალდებულების შესრულებისთვის და არა მოვალის ვალს. სოლიდარული მოვალეობა არის „გარე“ ურთიერთობა, როგორც ამას ანტუან ჰონტებერი აღნიშნავს. თავდები არ არის მოვალე, არამედ პასუხისმგებელია ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულებაზე. სოლიდარულ მოვალეებს აერთიანებთ ერთი ხელშეკრულება ერთი და იმავე ვალდებულებით და ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად საკუთარი ვალისთვის მთელი თავისი ქონებით. სოლიდარული თავდებობა კი განსხვავებული ინსტიტუტია და მისი გაიგივება

---

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება №ას-1087-1018-2012.

<sup>38</sup> იქვე.

სოლიდარულ მოვალესთან სამოქალაქო სამართლის ორი ინსტიტუტის აღრევაა.

თუ სოლიდარულ თავდებობას, რომელშიც მრავალი პირი მონაწილეობს, განვიხილავთ სოლიდარულ მოვალეებად ძირითად მოვალესთან ერთად, მაშინ სსკ-ის 449-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, ერთი მოვალისთვის ვალის პატიება, შესაძლოა არ ათავისუფლებდეს დანარჩენ მოვალეებს, თუ ამის შესახებ განაცხადებს კრედიტორი. სულ მცირე, სოლიდარულ თავდებობაგან ერთერთის გათავისუფლებისას, კრედიტორმა უნდა განაცხადოს და გამოთქვას ნება დანარჩენი თავდების მიმართ მოთხოვნის უფლების დატოვების თაობაზე, რადგან „ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას, სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმებაა და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას – მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას“.<sup>39</sup> ასევე უზენაესი სასამართლოს განმარტებით, როდესაც კრედიტორი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ წარადგენს მოთხოვნას „როგორც საპროცესო, ასევე მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ ერთი სოლიდარული თავდებისათვის გულისხმობს, თუ არა, დანარჩენი სოლიდარულად მოვალე სუბიექტების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას“<sup>40</sup>. თუმცაღა, ძირითადი მოვალისთვის ვალდებულების პატიება, თავდებობის შემთხვევაში, იქნება ის სოლიდარული თუ სუბსიდიური, ათავისუფლებს თავდებს ვალდებულების შესრულებისგან, რაც მნიშვნელოვან ზღვარს ავლებს სოლიდარულ მოვალეებსა და სოლიდარულ თავდებებს შორის.

<sup>39</sup> მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები: თეორია და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2020, 39

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის განჩინება №ას-379-352-2010.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითად მოვალესთან სოლიდარული თავდები პირების სოლიდარულ მოვალედ განხილვის შემთხვევაში იშლება ზღვარი ძირითად მოვალესა და თავდებს შორის, შესაბამისად, იშლება ზღვარი ძირითად ვალდებულებასა და მისგან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას შორის; ასეთ შემთხვევაში, თავდებობის აქცესორული ბუნება უგულვებელყოფილი ხდება, რადგან თავდები განიხილება სოლიდარულ მოვალედ ძირითადი მოვალესთან ერთად; რა თქმა უნდა, თავდებს ნაკისრი აქვს სოლიდარული თავდებობა, რადგან გამარტივდეს კრედიტორისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ არა სოლიდარული მოვალის კონტექსტში. თავდებობის შემთხვევაში, ვიდრე კრედიტორი მიმართავს თავდებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, სულ მცირე, კრედიტორმა უნდა გააფრთხილოს ძირითადი მოვალე, ხოლო სოლიდარული ვალდებულებაში მონაწილე პირების მიმართ მსგავსი მოთხოვნა არ არის დაწესებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმპერატიული ნორმაა, რომელიც გულისხმობს, რომ თუ თანათავდებთანგან ერთ-ერთი გათავისუფლდა ვალის გადახდისგან, სხვა თავდები პირებიც თავისუფლდება, თუმცა აღნიშნული მუხლის დანაწესი არ გულისხმობს სხვა თანათავდებების ავტომატურ გათავისუფლებას იმდენად, რამდენადაც „სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. [ხოლო] მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, [რათა] დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები[...].“<sup>41</sup> შესაბამისად მარტივად ვასკვნით, რომ 450(3)-ე მუხლი წარმოშობს მოთხოვნის საფუძველს სხვა პირებისთვის, რათა მოითხოვონ თავდებობისგან „ჩახსნა“, „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“,<sup>42</sup> „თუ მხარეთა ნება არ იქნება მიმართული სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული

<sup>41</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4, ნაწ. 1.

<sup>42</sup> იქვე, მუხლი 102, ნაწ. 1.

შედეგის მიღწევაზე, არ შეიძლება ვალის პატიების სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით დადგინდეს“, <sup>43</sup> შესაბამისად, თავდებს მოუწევს თვითონ ამტკიცოს კრედიტორის მიერ ერთ-ერთი თავდების გათავისუფლება ვალის გადახდისაგან და მოითხოვოს მისი გათავისუფლებაც.

## V. დასკვნა

სოლიდარულ თავდებებსა და სოლიდარულ მოვალეების სინონიმებად განიხილავენ, თუმცა ეს მოსაზრება მცდარია.

დუალისტური კონცეფციის თანახმად, ვალდებულებას ორი ასპექტი აქვს: ვალი და პასუხისმგებლობა ვალისთვის. რთულია, განასხვავო ერთმანეთისგან ვალი და პასუხისმგებლობა ვალისთვის. თავდებობა არის ვალდებულების პასუხისმგებლობა ვალისთვის, ხოლო თავდები კი არის პასუხისმგებელი პირი და არა მოვალე.

სოლიდარული თავდების პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა; ასეთ შემთხვევაში მას შეიძლება კრედიტორის მიერ წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც.

სოლიდარული თავდებობის მიზანი და ფუნქცია არის კრედიტორმა მარტივად დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა ზედმეტი ბიუროკრატიული და სამართლებრივი მოქმედებების გარეშე.

სოლიდარული მოვალე და სოლიდარული თავდები ორი სხვადასხვა პირია, ერთი არის ვალდებულების უშუალო მხარე, ხოლო მეორე არის ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი მხარე. ძირითადი მოვალე და თავდები ერთმანეთის მიმართ სოლიდარულ მოვალეებად ვერ ჩაითვლებიან, რადგან ძირითადი

---

<sup>43</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება №ას-1087-1018-2012.

მოვალისთვის ვალის პატიება ავტომატურად ინვესს თავდებობის გაუქმებას, ხოლო თავდებობის გაუქმება არ ინვესს ვალის პატიებას ძირითადი მოვალისთვის. თუ ჩავთვლით, რომ თავდები და ძირითადი მოვალე ერთმანეთის მიმართ სოლიდარული მოვალეები არიან, მაშინ კრედიტორის ქმედება ერთის მიმართ იმავე იურიდიულ შედეგს უნდა ინვესს მეორის მიმართ.

სოლიდარული თავდებობისას, აქცესორული ბმა ძირითად ვალდებულებასთან თითქოსდა სუსტდება, მაგრამ თავდებობის უმთავრესი მახასიათებელი სწორედ მისი აქცესორულობაა. სოლიდარული მოვალეები ერთმანეთთან არა აქცესორულად, არამედ ერთი და იმავე ხელშეკრულებით, ერთი და იმავე ვალდებულებით ერთსა და იმავე კრედიტორის წინაშე არიან პასუხისმგებლები ვალდებულების შესრულებაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სოლიდარული მოვალეა მომწესრიგებელი მუხლები არ უნდა ვრცელდებოდეს თავდებობის ინსტიტუტის მიმართ. ამით თავდებობის აქცესორული ბუნება უგულებელყოფილი ხდება. შესაძლოა, თანათავდებები ძირითადი მოვალის ვალდებულების უზრუნველსაყოფად მარტივი თავდებობით იყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ ერთად, კრედიტორის წინაშე პასუხს აგებდნენ როგორც სოლიდარული მოვალეები, რაც ნიშნავს არა სოლიდარულ მოვალეობას, არამედ თავდების პასუხისმგებლობის ფორმას, რათა კრედიტორს გაუმარტივდეს მოთხოვნის დაკმაყოფილება ერთ-ერთი თანათავდებთაგან.

შესაბამისად, ერთ-ერთი თავდების გათავისუფლება ვალის გადახდისგან ათავისუფლებს სხვა პირებსაც. სამოქალაქო კოდექსის ეს დანაწესი იმპერატიულია და მისი განხილვა სოლიდარული მოვალის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმებთან კუმულაციში, კერძოდ, 449-ე მუხლთან, გაუმართლებელია.

## საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა და სასამართლოს დისკრეცია მისი ცნობა-აღსრულებისას

### I. შესავალი

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება საქართველოში წლების მანძილზე უდიდეს გამოწვევად რჩება. სასამართლოში იმ საქმეთა ნაკადის სიმრავლე, რომლებიც წლებია განხილვისა და გადაწყვეტილების მოლოდინში არიან, ნათლად წარმოაჩენს, არბიტრაჟის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის, საჭიროებას.

იმისათვის, რომ საქართველო უკეთ მორგებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო არბიტრაჟისთვის აუცილებელ სტანდარტებს, სასამართლოს კი შეზღუდულად მიელო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაში მონაწილობა, 2009 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც UNCITRAL-ის მოდელურ კანონს ეფუძნებოდა.<sup>1</sup> აღნიშნული კანონის საფუძველზე, კვაზი-სასამართლო ინსტიტუტის ირგვლივ არსებულ კანონმდებლობასა და სამართლებრივ აქტებში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რომელთაგან აღნიშვნას იმსახურებს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. მხარეების მიერ თავიანთი უფლებების სათანადოდ დაცვისა და საბოლოო გადაწყვეტილების ეფექტიანობის მიზნით, ქართულ კანონმდებლობაში მონესრიგდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, სახეებისა და ცნობა-აღსრულების საკითხები. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას და მხოლოდ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესაძლებ-

---

\* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი.

<sup>1</sup> ჯუხარაშვილი თ., არბიტრაჟი, როგორც სამოქალაქო დავების განმხილველი ინსტიტუსი, თბილისი, 2019, 10.

ლობას იძლეოდა სასამართლოს მეშვეობით.<sup>2</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მეტად სენსიტიური და ამავდროულად სპეციფიკური სამართლებრივი ინსტიტუტია, რადგან მისი გამოყენების დროს რეალურად არსებობს პოზიტიური და ნეგატიური ეფექტის გამიჯვნის საფრთხე. კერძოდ, უზრუნველყოფის ღონისძიება ერთი მხრივ ხელს უწყობს მხარის უფლების დაცვას და საარბიტრაჟო განხივლის ეფექტიანობას, თუმცა მეორე მხრივ აღნიშნული ხორციელდება მეორე მხარის კანონიერი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე.<sup>3</sup> ევროპის ქვეყნებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით გასატარებელი უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხი სხვადასხვანაირადაა გადაწყვეტილი. შვეიცარიის, გერმანიის, შვედეთისა და საქართველოს კანონმდებლობა მხარეს აძლევს უფლებას, უზრუნველყოფის ზომების მიღება მოითხოვოს როგორც სასამართლოში, ასევე არბიტრაჟში.<sup>4</sup> საერთაშორისო სპეციფიკის მონესრიგების გამოყენება, კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა და მნიერი გამოცდილება, ხელს უწყობს საქართველოში არაერთგვაროვანი, ხშირ შემთხვევაში, არამართებული საარბიტრაჟო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და პრობლემური საკითხების წამოჭრას.<sup>5</sup>

სტატიაში გაანალიზებული და განხილულია არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თავისებურება, მხარეთა უფლებები უზრუნველყოფის ღონისძიებებთან მიმართებით და დროებითი ღონისძიების კანონისმიერი და საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული სახეები.

---

<sup>2</sup> მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2019, 11.

<sup>3</sup> იქვე, 12.

<sup>4</sup> ფიცხელაური ნ., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბილისი, 2015, 196.

<sup>5</sup> მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2019, 12.

## II. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც მხარეთა ინტერესების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება

სარჩელის უზრუნველყოფა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც მხარეთა ინტერესების დაცვასა და გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება.<sup>6</sup> იმისათვის, რომ კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულება არ გაჭიანურდეს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება კანონმდებლის მიერ დადგენილ დროებითი ღონისძიების რელევანტურ სახედ გვევლინება. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადანყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება.<sup>7</sup> სარჩელის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დაშვებული იმ იძულებითი ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელსაც დავის განმხილველი მხარე იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით და რომელიც მიმართულია არა მოსარჩელისათვის სასურველი გადანყვეტილების გამოტანისაკენ, არამედ, ასეთი გადანყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მისი აღსრულებისაკენ.<sup>8</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის მოსარჩელის ინტერესების დამცავი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მას აკისრია მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა საფრთხეს შეუქმნის გადანყვეტილების აღსრულებას.<sup>9</sup> არბიტრაჟი არ არის სასამართლო, სადაც საპროცესო კოდექსში დეტალურად იქნება განერილი, თუ როდის, რა შემთხვევაში და რა სახის უზრუნველყოფის

<sup>6</sup> პატარაია ი., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მასთან დაკავშირებული პრობლემები სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2019, 7.

<sup>7</sup> ახალაძე მ., სარჩელის/გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, თბილისი, 2020, 72.

<sup>8</sup> კაჭაშვილი გ., საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადანყვეტილების მიღების წინაპირობა, თბილისი, 2018, 61.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის N1/22/781 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

ლონისძიებების გამოყენებაა დასაშვები.<sup>10</sup> უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩამონათვალს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი გვათავაზობს. ზოგადი მსჯელობიდან გამომდინარე, მხარე ვალდებულია სარჩელის აღძვრის დროს თავად განსაზღვროს და მიუთითოს უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება და დაასაბუთოს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება, ესე იგი, სარჩელის წარდგენის დროს ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, რომლებიც არბიტრაჟს უფრო ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს ის ღონისძიება, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.<sup>11</sup> უზრუნველყოფის ღონისძიებების განხილვის დროს, ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზეც, რომელსაც ეხება კანონის მე-17 მუხლი. ამ მუხლის სათაურიდან თუ ვიმსჯელებთ, იგი ეხება არბიტრაჟის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხებს. თუმცა ასევე აერთიანებს საარბიტრაჟო სარჩელისა და მტკიცებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხებს. საკანონმდებლო ტექნიკისა და ნორმის სტრუქტურული გამართულობის თვალსაზრისით კანონის მე-17 მუხლის აღნიშნული ნაწილი ვერ დაიკვეხნის, ვინაიდან ეს ორი ინსტიტუტი თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან.<sup>12</sup> მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით ხორციელდება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ემსახურება.<sup>13</sup> მტკიცებულება-

---

<sup>10</sup> ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, ნელინდეული, თბილისი, 2013, 84.

<sup>11</sup> საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის (GIAC) საარბიტრაჟო წესები, მუხლი 32.1.

<sup>12</sup> მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2019, 101.

<sup>13</sup> კაჟაშვილი გ., საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიზეზის წინაპირობა, თბილისი, 2018, 32.

თა უზრუნველყოფის მიზანი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის უზრუნველყოფაა.<sup>14</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, საფულისხმოა ის ფაქტი, რომ კანონი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთ სახედ მოიაზრებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფას, არ გამოჰყოფს მას ცალკე ინსტიტუტად და მასზე ჩვეულებრივ ავრცელებს იმ სამართლებრივ რეგულირებას, რასაც იყენებს უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებებთან მიმართებით.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების დროს მოსარჩელის მიერ, თავის ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები უნდა იძლეოდეს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ მას მართლაც აქვს მოთხოვნის დაყენების უფლება. მოსარჩელის მიმართვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მაშინ არის გამართული, თუ მასში დასახელებული ფაქტები, შესაბამის სამართლებრივ ნორმასთან ერთად, ქმნის იმის საფუძველს, რომ სარჩელს აქვს დაკმაყოფილების პერსპექტივა, რაც ამყარებს იმის საფუძვლიან ეჭვს, რომ გადანყვებილება აღუსრულებელი არ დარჩება. მოსარჩელემ სარჩელის წარმატებულობისათვის მნიშვნელოვანია დაასაბუთოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობით მას მიადგება ისეთი ზიანი, რომლის ოდენობაც აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს. რაც მთავარია, მისი მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული, დამაჯერებელი და რეალური, ანუ მოსარჩელემ უნდა აღწეროს რეალური სურათი, თუ რა შეიძლება მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში და მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც ცალსახად აზუსტებს მოსალოდნელი ზიანის დადგომას.

### **III. უზრუნველყოფის გარანტია, როგორც საპასუხო უზრუნველყოფა**

„სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, მოსარჩელის უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე

---

<sup>14</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, 2005, 266.

მხრივ მოპასუხის უფლების მზლუდავ საშუალებას.“ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთანირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლით მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს მოსარჩელისაგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მხარეთა შორის არსებული დავა, როგორც სასამართლოში, ისე არბიტრაჟში, მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვით. მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად,<sup>15</sup> შესაბამისად, დაუშვებელია ერთი მხარის უფლების არათანაბარზომიერი შეზღუდვა, მეორე მხარის ინტერესის დაცვის ხარჯზე.

მოსარჩელის მიერ შეტანილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება სავალდებულოა შეიცავდეს დასაბუთებას და ნათლად წარმოაჩინდეს კონკრეტული უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობას. აღნიშნული მიდგომა ასევე ვრცელდება მოპასუხის მიმართ და ადგენს, რომ მოთხოვნა უნდა იყოს საფუძვლიანი. დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადანყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის, ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკური დასკვნის მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ.<sup>16</sup>

UNCITRAL-ის მოდელური კანონის სამუშაო ჯგუფში იყო მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა ყოფილიყო სავალდებულო, თუმცა ამ ვერსიამ საბოლოოდ კანონში ასახვა ვერ ჰპოვა და შეთანხმება იქნა მიღწეული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადანყვეტილება არბიტრაჟის კომპეტენცია უნდა ყოფილიყო.<sup>17</sup> უზრუნველყოფის გარანტიის

---

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის განჩინება Nას-648-610-2012.

<sup>16</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება Nას-929-879-2015.

<sup>17</sup> A/CN.9/508 - Report of the Working Group on Arbitration on the work of its thirty-sixth session, 4-8 March 2002, par. 60.

წარმოდგენა არის ნებაყოფლობითი პროცესი მხარის მიერ, ხოლო საქმის განმხილველი ორგანოს მიერ მაშინ ხდება მოთხოვნა საპასუხო უზრუნველყოფის წარმოდგენის შესახებ, თუ აშკარაა, რომ ზიანი მიადგება მეორე მხარეს. აღნიშნული საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ საკითხზე, რომ ნებაყოფლობითობა გარკვეულწილად არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობების შესწავლისა და შეფასების შედეგად დადგინდა, რომ უზრუნველყოფის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს სარჩელის წარმატებულობა, ანუ კომპეტენტური ორგანო აფასებს იმას, თუ რამდენად არის სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა და რამდენად აქვს სარჩელს მომავალში წარმატების შანსი, და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქმის განმხილველი ორგანო აფასებს, უზრუნველყოფის ღონისძიების რომელი სახე უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ სიტუაციაში და რომელი ღონისძიება წარმოადგენს უზრუნველყოფის გამართლებულ საშუალებას. შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში მეორე მხარეს გარკვეული ზიანი მაინც ადგება, რაც ცალსახად იწვევს პროპორციულობის პრინციპის დარღვევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პროპორციულობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპი მკაფიოდ იყოს დაცული, მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის დროს, სავალდებულო უნდა იყოს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში გადმოტანისა და გაანალიზების შედეგად, შესაძლოა წამოიჭრას მოპასუხის მიერ ზიანის ანაზღაურების გარანტიით ბოროტად სარგებლობის პრობლემა, რაც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. შესაბამისად, აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საბოლოო მტკიცების ტვირთი უნდა დაექისროს მოპასუხეს, ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ზიანი მიადგა, ხოლო ზიანი უნდა იყოს რეალური, ადეკვატური და დასაბუთებული.

#### IV. სასამართლო, როგორც არბიტრაჟის დამხმარე ინსტიტუტი სარჩელის უზრუნველყოფისას

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონი მხარეებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას და ნინასწარი შეთანხმებისა და მოლაპარაკების გზით აძლევს უფლებას, რომ განსაზღვრონ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არბიტრაჟში. თუმცა აღნიშნული საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობაზე, კერძოდ, თუ მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხავენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას არბიტრაჟისათვის მიმართვის გზით, ექნებათ თუ არა მათ ეს უფლებამოსილება სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში? აღნიშნულ კითხვას არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი ცალსახად არ პასუხობს და სწორხაზოვნად არ ითვალისწინებს იმას, რომ მხარეთა შეთანხმებით გამოირიცხოს სასამართლოსათვის მიმართვა უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით, თუმცა ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, რომ ქართული საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაც ამ კუთხით განვითარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებას უზრუნველყოფის ღონისძიების არ გამოყენების შესახებ აზრი დაეკარგება, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება სასამართლოს მეშვეობით მაინც იქნება შესაძლებელი.<sup>18</sup>

საერთაშორისო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ნებისმიერ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს მხარის უფლება და არ უნდა მოხდეს მისი შეზღუდვა, მაშინაც კი, თუ

---

<sup>18</sup> მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2019, 62.

სასამართლოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, ანუ მხარემ უნდა ისარგებლოს უფლებით არბიტრაჟსაც მიმართოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით.<sup>19</sup> აშშ-ის სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკაში არსებობს რამდენიმე გადაწყვეტილება, როდესაც სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მხარეს უარი ეთქვა და შემდეგ იმავე მხარემ, იგივე მოთხოვნით მიმართა არბიტრაჟს. კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ ნიუ-იორკის „სასამართლოს განჩინება არ გამორიცხავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილებას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.“<sup>20</sup> ზემოაღნიშნული საკითხის ქართულ პრაქტიკაში გამოტანისა და გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს აღსრულების პრობლემა. იქიდან გამომდინარე, რომ, ქართულ რეალობაში, არბიტრაჟი და სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებაზე გადაწყვეტილებას იღებს მეორე მხარისთვის შეუტყობინებლად, შესაძლებელია არბიტრაჟისთვის ან სასამართლოსთვის არც კი გახდეს ცნობილი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიღებულია გადაწყვეტილება კომპეტენტური ორგანოს მიერ. აღნიშნულთან მიმართებით, მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რომ კანონმდებლობაში მოხდეს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიებების განერა და მითითება, თუ რა დროს შეუძლია არბიტრაჟის მიერ განსახილველ დავაზე სასამართლომ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება. მიზანშეწონილი იქნება, რომ კანონში გაკეთდეს ჩანაწერი კონკრეტული ღონისძიებების თაობაზე, მაგალითად თუ საქმე განსახილველია არბიტრაჟის მიერ, მხარეს უნდა ჰქონდეს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება მხოლოდ ყადაღის ან აკრძალვის გამოყენების მოთხოვნით უძრავი ქონების მიმართ, რომელიც დაექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. ამ შემთხვევაში უკვე

<sup>19</sup> Kaufmann – Kohler G., Rigozzi A., *International Arbitration, Law and Practice in Switzerland*, Oxford University Press, 2015, p. 338.

<sup>20</sup> ICC Case N11770, Procedural Order N1 (2001), ციტირებულია: Webster Th., Buhler M., *Handbook of ICC Arbitration*, 3<sup>rd</sup> Ed., Thomson Reuters, 2014, 459.

საქმის განმხილველი ორგანოს მიერ აღარ მოხდება აღრევა და აღარ იარსებებს სხვადასხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევა. შესაბამისად, გარკვეული იქნება ის გარემოება, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიღებულია გადაწყვეტილება კომპეტენტური ორგანოს მიერ. მოცემული მდგომარეობა ასევე ხელს შეუწყობს არბიტრაჟის განვითარებას, სანდოობასა და ეფექტიანობის გაზრდას.

## **V. უზრუნველყოფის ღონისძიების თავსებურებანი ცნობა-აღსრულების წრილში**

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება არის კერძო ავტონომიის შედეგად გამართული საარბიტრაჟო პროცესის შედეგის, „კერძო აქტის“, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საჯაროსამართლებრივი აღიარება.<sup>21</sup> გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობის მექანიზმს, ქართულ საარბიტრაჟო კანონმდებლობაში, ცნობა-აღსრულება წარმოდგენს. არბიტრაჟი დავის მხარეებს სასამართლო პროცესზე უფრო სწრაფ და ფინანსურად ხელსაყრელ წესებს სასამართლოსთვის დადგენილი წესების გვერდის ავლით სთავაზობს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია და იურიდიული ძალის მინიჭებას კი ახდენს სახელმწიფო.<sup>22</sup> ცნობა გულისხმობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის სამართლებრივი ძალის მინიჭებას სასამართლოს მხრიდან, რაც შესაბამის ქვექანაში (სადაც მოხდა ცნობა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ანიჭებს იურიდიულ ძალას.<sup>23</sup> გადაწყვეტილების აღსრულება კი გულისხმობს უკვე ცნობილი საარბიტრაჟო გადაწყვე-

---

<sup>21</sup> Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 689, §26-6.

<sup>22</sup> Merrills J.G., International Dispute Settlement, 4<sup>th</sup> Ed., Cambridge University Press, 2005, 117; მითითებულია ნაშრომში: ანდლულაძე ქ., საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსის ნამდვილობა (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2013, 7.

<sup>23</sup> გზამკვლევი არბიტრაჟში საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის, თბილისი, 2018, 94.

ტილებისთვის აღსრულებადი ძალის მინიჭებას.<sup>24</sup> საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას.<sup>25</sup> ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორ-უფლებიანობის მოსაზრებას.<sup>26</sup>

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადამწყვეტილება გამოქვს სააპელაციო სასამართლოს, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქმეს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.<sup>27</sup> აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სააპელაციო სასამართლოების განსჯადობაზე. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით მხარეს შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე მიდგომა, კერძოდ, იმ პირის ადგილსამყოფელი, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება უზრუნველყოფის ღონისძიება, ასევე, ქონების ადგილსამყოფელი, რომელზეც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება ან/და საარბიტრაჟო განხილვის ადგილი.<sup>28</sup> ზოგადი მსჯელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების არსი და კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების სახე. აღნიშნულის მიხედვით, შეიძლება უფრო დაკონკრეტდეს განსჯადობის საკითხი და გამოიკვეთოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების განსჯადობის დროს გამოყე-

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება №-3283-შ-79-2020.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> იხ., „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>28</sup> მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2019, 143.

ნებულ იქნეს მხოლოდ ორი შემთხვევა, კერძოდ იმ პირის ადგილსამყოფელი, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება უზრუნველყოფის ღონისძიება და ქონების ადგილსამყოფელი, რომელზეც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება. განცხადება იმ უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე, რომელიც მიემართება უძრავ ქონებას, უმჯობესი იქნება წარდგენილ იქნეს უშუალოდ უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში ამოსავალ წერტილს ეს უძრავი ქონება წარმოადგენს და თუ საჭირო გახდება, მხარის დაკმაყოფილება აღნიშნული უძრავი ქონებით უნდა მოხდეს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფის ღონისძიება უძრავ ქონებას არ უკავშირება, განსჯადობის კუთხით უპრიანი იქნება, გამოყენებული იქნეს იმ პირის ადგილსამყოფელი, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნულ საკითხს გარკვეულ შემთხვევებში გაართულებს ის მდგომარეობა, როცა პირი, რომლის წინააღმდეგაც უნდა იქნეს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, არ იმყოფება საქართველოში. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ყველაზე მართებული იქნება, თავდაპირველად მიმართვა განხორციელდეს იმ ქვეყანაში, სადაც აღნიშნული პიროვნება იმყოფება. უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს იმ ქვეყნის სასამართლომ ან არბიტრაჟმა, უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოში ცნობა-აღსრულებას განახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს ერთგვარ ანალოგს სამკვიდრო მონუმობის გაცემის საკითხებთან დაკავშირებით, როცა მამკვიდრებელი, რომელსაც ჰქონდა საქართველოში ქონება გარდაცვალების მომენტისთვის, სხვა ქვეყნის მოქალაქე იყო. კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს ასეთი მიდგომა, რომ თავდაპირველ სამკვიდროს გასცემს ის ქვეყანა, რომლის მოქალაქეც იყო მამკვიდრებელი, ხოლო ამის შემდეგ საქართველოს ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მონუმობას საქართველოში არსებულ ქონებაზე.<sup>29</sup>

---

<sup>29</sup> <<https://www.notary.ge/index.php?id=174&lang=geo>> [15.02.2021]

ზოგადი მსჯელობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიება, თავის შინაარსით, წარმოადგენს გადაუდებელ და აუცილებელ ღონისძიებას, რომელსაც, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საკითხი გადაწყდეს მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მხარე, რომელიც დავის განსახილველად ირჩევს არბიტრაჟს, იმის გამო, რომ არბიტრაჟი წარმოადგენს დავის გადაწყვეტის სწრაფ და მოქნილ სისტემას, გამოდის, რომ რიგ შემთხვევებში აღნიშნული სისწრაფითა და მოქნილობით ვერ სარგებლობს. როდესაც მხარე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართავს არბიტრაჟს, დგება ორი ინსტანციის გავლის საჭიროება. ანუ ჯერ არბიტრაჟი განიხილავს საკითხს, მიიღებს თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიებას, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სასამართლომ უნდა ცნოს და აღასრულოს ეს გადაწყვეტილება, რაც პროცესის მონაწილე მხარისათვის დიდი ალბათობით სასიამოვნო და კომფორტული არ იქნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოს მხრიდან ცნობა-აღსრულება, გარკვეულწილად, ლოგიკას მოკლებულ პროცესს წარმოადგენს, უზრუნველყოფის ღონისძიების არსიდან გამომდინარე, რადგან ამდენი პროცედურის გავლის შემდეგ იგი ვეღარ იქნება საკმარისად სწრაფი, ეფექტური და მოქნილი და გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა სავალალო შედეგიც კი გამოიწვიოს.

## VI. დასკვნა

საარბიტრაჟო განხილვისას საარბიტრაჟო უზრუნველყოფის ღონისძიება ქმნის არა მხოლოდ მხარეთა უფლებების დაცვის მექანიზმს, არამედ მეტწილად განსაზღვრავს არბიტრაჟის, რო-

გორც დავის გადანყვეტის საშუალების, ეფექტიანობას.<sup>30</sup> შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება არბიტრაჟისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.<sup>31</sup> წინამდებარე სტატიაში მოხდა უზრუნველყოფის ღონისძიების ცნების, მისი გამოყენების აუცილებლობის, მხრეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების განხილვა, როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე. ნათლად გამოიკვეთა გარკვეული მსგავსება ქართულ საარბიტრაჟო სამართალსა და საერთაშორისოდ აღიარებულ რეგულაციებს შორის. საქართველოს საკანონმდებლო სისტემამ, არბიტრაჟთან მიმართებით, წლების განმავლობაში, განიცადა უამრავი ცვლილება, რაც დადებითად აისახა არბიტრაჟისადმი ნდობის მოპოვებასა და, ზოგადად, არბიტრაჟის პოპულარიზაციაში, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობა სრულყოფილია და იდეალურად მოიცავს ყველა შესაძლო შემთხვევას, რასთან შეხებაც შეიძლება ჰქონდეთ როგორც მხარეებს, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით მხარეებს მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება და წინასწარი შეთანხმებისა და მოლაპარაკების გზით შეუძლიათ განსაზღვრონ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არბიტრაჟში. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, დასკვნისა და რეკომენდაციის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმებით გამოირიცხავენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას არბიტრაჟისადმი მიმართვის გზით, იგივე უნდა მოხდეს სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაშიც. სხვა შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება აზრს მოკლებული იქნება, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება სასამართლოს მეშვეობით მანინც იქნება შესაძლებელი.

---

<sup>30</sup> მაჩაიძე ო., უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების და ცნობა-აღსრულების პირობები საარბიტრაჟო წარმოებისას, თბილისი, 2020, 192.

<sup>31</sup> იქვე.

ქართულ რეალობაში, არბიტრაჟი და სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მეორე მხარისათვის შეუტყობინებლად. შესაბამისად, ამორიცხული არ არის, რომ არბიტრაჟისთვის ან სასამართლოსთვის არც კი გახდეს ცნობილი, რომ გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე უკვე მიღებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ. აღნიშნულთან მიმართებით, მნიშვნელოვანი და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რომ კანონმდებლობაში მოხდეს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების განწერა და მითითება, თუ რა დროს შეუძლია სასამართლოს არბიტრაჟის მიერ განსახილველ დავაზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. მოცემული მდგომარეობა ასევე ხელს შეუწყობს არბიტრაჟის განვითარებას, სანდოობასა და ეფექტიანობის გაზრდას.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში მეორე მხარეს გარკვეული ზიანი ყველა შემთხვევაში ადგება, რაც ცალსახად იწვევს პროპორციულობის პრინციპის დარღვევას. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროპორციულობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის მკაცრად დასაცავად, მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის დროს, სავალდებულო უნდა იყოს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

ბუნებრივია, არბიტრაჟი არ წარმოადგენს პანაცეას ეკონომიკის განვითარებისთვის, მაგრამ ის ბიზნესის განუყოფელი ნაწილია.<sup>32</sup> საარბიტრაჟო ინსტიტუტის განვითარება კი ქვეყნის წინსვლაში თავის წვლილს შეიტანს. ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის ფონზე გაიზრდება არბიტრაჟის ნდობა და მისი პოპულარობა.

---

<sup>32</sup> ფიცხელაური ნ., ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბილისი, 2015, 221.